

1239
2011

ვაჟა - თქვატაძე

150

სვ



საქართველოს იულოთეა

საქართველოს



ბიბლიოთეკა



რელაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელ.: 297-16-83

ქურნალის რელაქცია:

ადექსანდრე ღორია

- მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი

- მთავარი რედაქტორის

მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

გუდნარა სცურუა

- სამეცნიერო-მეთოდური და

კორექსორ-რედაქტორის მუშაობის

რედაქტორ-კორექტორი

ინფორმაციური „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს

პარლამენტის იდია ქავჭავაძის

სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკა; საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ქურნალი გამომცემის წელიწადში ოთხჯერ



საქართველოს ბიბლიოთეკა № 3 (44) – 2011

შინაარსი

პერსპექტივა და ორიენტირი	4
--------------------------------	---

კვირული – 2011

ინფორმაციულ გარემოში დამკვიდრებისათვის	7
ცისანა ქორჩიაშვილი – მთელი სამყარო თქვენს ბიბლიოთეკაში	16
გენადი მახარაძე – კვირეული ბათუმში	20

კორესპონდენციები

დავით არაბიძე – ნათელი გულით	22
თამარ შოშიაშვილი – ქართველ მსახიობთა გახსენება	25
გულიკო ენუქიძე – საინტერესო შეხვედრათა კლუბი	26
მანანა საგანელიძე, ნუნუ ჭედელიძე – მისაბაძი მკითხველები	27

იუბილე

12

მაია მიქაბერიძე – ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა უცხოენოვანი გამოცემები ნერილი, 2	28
მანანა ანდრიაშვილი – ქართული მუსიკის გენია ზ. ფალიაშვილი 140	32

ღირსეული მამულიშვილები

იური სიხარულიძე – სკენდერ ცივაძე	34
--	----

პოლემიკა

გურამ თაყნიაშვილი – ქედი მოვიხაროთ ბიბლიოთეკარების წინაშე	35
---	----

მოგონებები

ოთარ ოსაძე – მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში	38
ლალი გოქაძე – მკითხველთა გახსენება	41

ჩვენი შემოქმედება

მარიამ ნიშნიანიძე – ფაქიზი სულით აღსავსე სტრიქონები	43
მოსწავლე მკითხველების შემოქმედება	44

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 3 (44) - 2011
СОДЕРЖАНИЕ

Перспектива и ориентир.....	4
-----------------------------	---

Неделя библиотеки – 2011

Чтобы обосноваться в информационной среде.....	7
Цисана Кочечашвили — Весь мир в твоей библиотеке	16
Геннадий Махарадзе -- Неделя библиотеки в Батуми	20

Корреспонденция

Давид Арабидзе — Со светлой душой	22
Тамар Шошиашвили — Памяти грузинских актёров	25
Гулико Энукидзе — Клуб интересных встреч	26
Манана Саганелидзе, Нуну Чегелидзе — Активные читатели.....	27

Юбилеи

Мая Микаберидзе — Издания произведений Важи Пшавела на иностранных языках. Письмо 2.....	28
Манана Андроникашвили — Гений грузинской музыки — 3. Палиашвили — 140	32

Достойные сыны отечества

Юрий Сихарулидзе — Скендер Цивадзе	34
--	----

Полемика

Гурам Такниашвили — Поклонимся библиотекарям.....	35
---	----

Воспоминания

Отар Осадзе -- В Центральной научной библиотеке Академии наук.....	38
Лали Гокадзе — Памяти читателей	41

Наше творчество

Мариам Нишнианидзе — Строки, наполненные чистотой души.....	43
Творчество читателей-учащихся.....	44

THE LIBRARY OF GEORGIA № 3 (44) – 2011

CONTENTS:

Prospect and Vision	4
---------------------------	---

Library Week – 2011

Asserting Oneself in Information Environment	7
Tsisana Kochechashvili – The Whole World in Our Library	16
Genadi Makharadze – Library Week in Batumi	20

Correspondence

Davit Arabidze – With a Cheerful and Good Heart.....	22
Tamar Shoshiashvili – Remembering Georgian Actors	25
Guliko Enukidze – A Club for Interesting Gatherings.....	26
Manana Saganelidze, Nunu Cheghelidze – An Exemplary Reader	27

Anniversary

Maia Mikaberidze – Foreign-Language Editions of Vazha-Pshavela (Essay 2.....	28
Manana Andronikashvili – The Genius of Georgian Music: The 140 th Anniversary of Z. Paliashvili	32

Praiseworthy Children of the Fatherland

Iuri Sikharulidze – Skender Tsivadze.....	34
---	----

Polemic

Guram Takniashvili – Hats Off to Librarians	35
---	----

Recollections

Otar Osadze – At the Central Scientific Library of the Academy of Sciences	38
Lali Gokadze – Remembering the Readers.....	41

Our Works

Mariam Nishnianidze – Some Lines by a Tender Soul.....	43
Works by Pupil Readers.....	44

პერსპექტივა და ორიენტირი

პერსპექტივის ზუსტად განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა საქმეში. ეს მეტად რთული რამ არის და დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პროფესიულად ხდება ეს, ვინ და როგორ აკეთებს დასკვნებს. ეს ეხება როგორც პიროვნებას, ისე რამდენიმე პირს, ჯგუფს თუ მთელ კოლექტივს.

პერსპექტივა გულისხმობს იმ მოსალოდნელ მოვლენებს, რომლებიც წარმოიშობა არსებული სიტუაციის პირობებში, ის, რაც მოგვცემს თავის შედეგებს ახლო თუ შორეულ მომავალში. პერსპექტივა, საერთოდ, განვითარებასაც ნიშნავს.

განვითარების შედეგი ყოველთვის არ არის წარმატების საწინდარი. შედეგი შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგო იყოს – დადებითიც და უარყოფითიც; ეს დამოკიდებულია იმ პროცესებზე, რომლებიც აწმყოში მიმდინარეობს, თუმცა პერსპექტივა ხშირად აღიქმება როგორც წინსვლა, წარმატება, დადებითი თვისებების მქონე მომავალი. ამიტომაც ეს ტერმინი გამოიყენება ხშირად რაღაც მიღწევების აღსანიშნავად. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ის შეიძლება გაიგებოდეს როგორც მომავლის მქონე, წარმატებული მოვლენა – ზოგი უმომავლო ანუ უპერსპექტივო.

რაკი პერსპექტივის გამოცნობა ხდება აწმყოში – ახლანდელ დროში, იგი მხედველობაში ღებულს მოვლენათა იმგვარ ვითარებას, რაც მოცემულ მომენტშია. მან უნდა დაადგინოს, რა შეიძლება გამოიწვიოს ამ მოვლენებმა, ცხადია, ობიექტური კანონზომიერების გათვალისწინებით. ყოველგვარი პერსპექტივის განჭვრეტის საფუძველი არის ახლანდელი ვითარების სწორი ანალიზისა და შეფასების სიზუსტე.

რაც შეეხება ორიენტაციას, ეს უკვე შეცნობილი პერსპექტივის ბაზაზე იმის გარკვევა და დადგენაა, თუ რა უნდა გაკეთდეს, რა გეზი უნდა შემუშავდეს მოცემულ სიტუაციაში, რა კურსით უნდა წარიმართოს საქმე, რა გეგმა უნდა დაისახოს, რომ უფრო მაღალი დონე იქნეს მიღწეული, ან თავი დავაღწიოთ უარყოფით მოვლენებს.

პერსპექტივის შეცნობისა და ორიენტაციის განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია რაიმე მართებული გეგმა დაისახოს, რამდენადაც უფრო ზუსტი, ობიექტური კანონზომიერებითაა გათვალისწინებული გეგმა, მით უფრო რეალისტური და შესრულებადია ის.

მხედველობაშია მისაღები, რომ პერსპექტივის განსაზღვრა ყოველთვის არაა დამოკიდებული იმ მოვლენებსა და ვითარებაზე, რომელშიც ვმოქმედებთ, რადგანაც თითქმის შეუძლებელია გავითვალისწინოთ ის, რაც შეიძლება მოულოდნელად მოხდეს და მთლიანად შეცვალოს ვითარება. შეიძლება ისეთი მოვლენები გაჩნდეს და ჩაერთოს ობიექტური გარემოს განვითარებაში, სავსებით ადეკვატური პერსპექტივები წარმოშვას, ის, რაც გათვალისწინებული არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო გათვალისწინებული. მაგრამ ეს ვითარება უნდა იქნეს წინასწარ განჭვრეტილი და მზად უნდა ვიყოთ საამისოდ. ამაში კი მოგვეხმარება ალტერნატიული პერსპექტივების შემუშავება ამა თუ იმ შემთხვევისათვის. რა მოგველის იმ შემთხვევაში, სიტუაცია ასე და ამგვარად თუ შეიცვლება.

სახელმწიფოში, სადაც ჩამოყალიბებულია განვითარების სტრატეგია და მის საფუძველზე დგება მოქმედების გეგმები, იქმნება ტაქტიკა, ხდება პერსპექტივის ზუსტი განსაზღვრა და მისი ორიენტირება. ეს უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ხელისუფლების საქმიანობაში. ამა თუ იმ დარგის განვითარება თავიდან ბოლომდე სწორედ ამაზეა დამოკიდებული. ამდენად, ყოველი დარგის პერსპექტივებისა და ორიენტირების განსაზღვრა, მათი მართვა და შესრულება ვერ მოხდება ხელისუფლების ნების გარეშე.

აქედან გამომდინარე, ყოველი დარგის პერსპექტივა და ორიენტირი მთლიანად ხელისუფლების ნებას ექვემდებარება. ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, ხელისუფლება და მთავრობა როგორ აწესრიგებენ ამ მოვლენას, როგორია მათი დამოკიდებულება მისდამი.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებით?

ამაზე რომ რაიმე ითქვას ამომწურავად, დარგის თანამედროვე მდგომარეობის გარკვევისათვის რამდენიმე კითხვას უნდა გაეცეს პასუხი – უპირველეს ყოვლისა, როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება დარგისადმი, ამასთან, რა კეთდება ამ დარგის განვითარებისათვის, რა სიტუაცია, რა პირობებია მისი განვითარებისათვის, მოსალოდნელია თუ არა საბიბლიოთეკო დარგში მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესება, რა სამთავ-

რობო ღონისძიებები იგეგმება, რა რეფორმები ტარდება, რა ვითარებაა დარგის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფისათვის. როგორაა დაცული დარგის საკანონმდებლო ბაზა და სხვ.

დარგისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე თუ ვიმსჯელებთ, თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ ვითარება სავსებით უარყოფითია. თუკი რამე განხორციელდა პოზიტიური. ეს იყო თავის დროს (1996 წ.) პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის, საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ბიბლიოთეკათა საკოორდინაციო საბჭოს დიდი ძალისხმევითა და შრომის შედეგად იქნა შედგენილი და პარლამენტის მიერ დეტალურად განხილვის შემდეგ დამტკიცებული. ამის მეტი რაიმე არსებითი არაფერი გაკეთებულა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ე.წ. „ოპტიმიზაციას“, რაც ბიბლიოთეკების და შესაბამისად მათი თანამშრომლების განუკითხავ შემცირებაში გამოიხატა. საბიბლიოთეკო საზოგადოებისათვის სავსებით გაუგებარი დარჩა, თუ რომელი ორგანიზაციის ინიციატივა იყო ეს „ოპტიმიზაცია“, ვინ დაგეგმა, რა სტრატეგია და მოტივაცია ედო საფუძვლად, არსებობდა თუ არა რაიმე გეგმა, წინასწარი გათვლა და ა.შ. ფაქტობრივად, ამ ოპტიმიზაციამ რაიმე არსებითი \neq თვისებრივი შედეგი გამოიღო თუ არა?

არადა, უამრავი რამ იყო და არის გასაკეთებელი, რაც ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული: სავალდებულო ცალების პრობლემების გადაწყვეტა, საბიბლიოთეკო ფონდების ჩამონერის ინსტრუქციის შექმნა, ბიბლიოთეკის ახალი სტატუსის შემუშავება, შესაბამისი კადრების მომზადების საქმის გადაწყვეტა, საბიბლიოთეკო სტატისტიკისა და სტანდარტიზაციის რეგულირება და სხვა მრავალი. ყოველივე ამის გარეშე რაიმე განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ხელისუფლებისა და მთავრობის არც ერთ რგოლში არასოდეს არ განხილულა საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობა, პარლამენტში და შესაბამის კომიტეტში არავის არასოდეს ხსენებითაც კი არ უხსენებია ბიბლიოთეკა, არცერთ პარტიას – სამთავრობოს თუ ოპოზიციურს ყურადღება არ მიუქცევია ამ საქმისათვის, მაშინ, როდესაც ასეულ ათასობით წიგნადი ფონდი მათ თვალწინ ნადგურდებოდა ე.წ. „ოპტიმიზაციის“ დროს.

ამის ახსნა არც ისე ძნელი უნდა იყოს: ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებს ისეთი

არაშემოსავლიანი დარგები, როგორც ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, თავად საზოგადოებრივი აზრი არ არის ჩამოყალიბებული თანამედროვე ბიბლიოთეკების შესახებ, კვლავ დომინირებს ის ძველისძველი შეხედულება, რომ ბიბლიოთეკა ეს წიგნების „გროვია“ და როცა ადამიანს არაფერი აქვს ნასაკითხი შინ, ბიბლიოთეკას მიაშურებს. რაკი ასეთი გასაჭირი დღეს ჩვენში არ არსებობს, მაშასადამე, არც ბიბლიოთეკებია საჭირო. ამგვარი შეხედულება, ეტყობა, პოლიტიკურ „მამებშიც“ მეტისმეტადაა ფეხმოკიდებული, და, ცხადია, ეს გავლენას ახდენს საბიბლიოთეკო საქმის შეფასებასა და მისდამი დამოკიდებულებაზე.

სინამდვილეში, ვინც იცნობს მსოფლიოს თანამედროვე ბიბლიოთეკებს, იცის, რომ დღეს ბიბლიოთეკების სტატუსი და ფუნქციები შეცვლილია. აქ არა მარტო წიგნებია თავმოყრილი, არამედ ელექტრონული საინფორმაციო დოკუმენტების მთელი წყება. თვით „მკითხველის“ ტერმინიც კი „მომხმარებელი“ შეიცვალა. ამაზე ბევრია ნათქვამი და დაწერილი, რაც ჩვენს ყურნალშია გამოქვეყნებული, მაგრამ მასზე არსაიდან არავითარი გამოხმაურება არ ყოფილა.

არის კი რაიმე სიტუაცია ამჟამად საბიბლიოთეკო საქმის აღორძინებისათვის?

პირდაპირ და მოკლედ შეიძლება ითქვას: არავითარი. საქმე ძალიან ცუდადაა. ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას; არაფერი არ იგეგმება დარგის ასაღორძინებლად, არ არსებობს რაიმე გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური პირობების გასაუმჯობესებლად, კატასტროფულად მცირდება ბიბლიოთეკები სოფლებში, ვისი თუ რისი გადაწყვეტილებით მოხდა და ხდება სოფლებისა და ქალაქების საჯარო ბიბლიოთეკების შეერთება სასკოლო ბიბლიოთეკებთან, რაც მთელ მსოფლიოში მხოლოდ უღატაკეს დასახლებულ პუნქტებისათვის არის დამახასიათებელი? ამასთან, არ არსებობს რაიმე ოფიციალური დოკუმენტი და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა ამ საქმის მოწესრიგებისათვის. სავსებით უგულვებელყოფილია შესაბამისი კადრების მომზადება, არ წარმოებს გეგმიური რეფორმაცია და ყველაფერი თვითღინებაზეა მიშვებული.

საბიბლიოთეკო საქმეს არა აქვს მყარი და მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, რამდენადაც საბიბლიოთეკო კანონი, რომელიც გარანტი უნდა იყოს დარგის დაცვისა და განვითარების, ფაქ-

ტობრივად, ფარატინა ქალაღდადაა ქცეული. დარღვეულია, შეცვლილია, უგულებელყოფილია მისი ფუნდამენტური დებულებები, რის შესახებაც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში დანვრილებითაა ლაპარაკი. საერთოდ, ცნობილია, რომ კანონისადმი ამგვარი დამოკიდებულება კონსტიტუციური დებულებების დარღვევაა და დასჯადია. ასეთი რამ ძირს უთხრის დემოკრატიის საფუძვლებსაც.

ცხადია, ასეთ სიტუაციასა და პირობებში ძნელია ილაპარაკო სასიკეთო ძვრებსა და რაიმე პროგრესზე, აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია რაიმე პროგრესის პროგნოზირება. ერთი შეიძლება ვინინასწარმეტყველოთ: თუ რადიკალურად არ შეიცვალა სიტუაცია, მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სავალალო გახდება.

ასეთ მძიმე ვითარებაში, ძალიან ძნელია სათქმელია, რა ორიენტირები შეიძლება გამოისახოს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება გულხელდაკრევით ვუცქიროთ, თუ როგორ ნადგურდება საუკუნეებით ჩამოყალიბებული დარგი, როგორ ნიავდება ძვირფასი წიგნადი ფონდები, ირღვევა ურთიერთობა მკითხველსა და ბიბლიოთეკას შორის, არავითარი ყურადღება არ ექცევა ბიბლიოთეკართა სოციალურ დაცვას, სრულყოფილ ინფორმირებას, საბიბლიოთეკო კადრების მომზადებას.

ისმის კითხვა: რა შეიძლება გააკეთოს საბიბლიოთეკო საზოგადოებამ და მოქალაქეებმა, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმის განვითარებით არიან დაინტერესებულნი. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, ხელისუფლების ყურადღება მივაქციოთ არსებულ მდგომარეობას და მოვითხოვოთ, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ნაბიჯები გადადგას საბიბლიოთეკო საქმის გადასარჩენად.

ამის გაკეთება შეიძლება, რა თქმა უნდა, მანიფესტაციებით, მიტინგებით, საჯარო გამოსვლებით, გაფიცვებით, სხვადასხვა ხმაურიანი ღონისძიებებით, მაგრამ საამისო არც მზაობა არსებობს და არც იმგვარი გაერთიანება, ამას

თავი მოაბას. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ბიბლიოთეკის მუშაკთა უმრავლესობა ნაკლებად პრეტენზიული და მორიდებული ადამიანები არიან. აქ შიშის ფაქტორიც მოქმედებს: არ იქნენ ისინი რეპრესირებულნი – სამსახურიდან დათხოვნილნი და უმუშევრად დარჩენილები. საამისოდ საბიბლიოთეკო ასოციაციაც არ არის მზად, პროფკავშირები კი, ფაქტობრივად, არ არსებობს, რომელსაც შეეძლება დარაზმოს დაინტერესებული საზოგადოება. რჩება მეორე გზა – შეურიგებელი პროტესტის, აზრების ცხადად და უშიშრად გამოხატვის, აგიტაციისა და პროპაგანდის, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ პრესა, რადიო, ტელევიზია, შეხვედრები კომპეტენტურ პირებთან, წერილობითი მოთხოვნები, მიმართვები, კოლექტიური წერილები, მოსახლეობის ფართო ფენების მომხრობა ჩვენს სასარგებლოდ. თუ რა გამოვა აქედან, ძნელია სათქმელია, მაგრამ რომ უნდა ვიბრძოლოთ თავგამოდებით, ეს აუცილებელია.

ჩვენს ქვეყანაში არის ცდები. მართალია, დიდად წარმატებული არაა, მაგრამ მაინც, შეიქმნას სამოქალაქო, ინფორმაციული საზოგადოება, მთელ მსოფლიოში (ჩვენს ქვეყანას არ ვგულისხმობთ), ამ მოძრაობაში უდიდეს როლს ბიბლიოთეკები ასრულებენ. ყველგან ხელისუფლება ბიბლიოთეკის უპირველეს მეგობრად გვევლინება, ჩვენდა გასაოცრად, არ ვიცით, რატომღაც, ძალაუვნებურად თუ შეგნებულად, პროპაგანდა მიმდინარეობს წიგნის საზიანოდ, არნახული მოვლენაა: ხელისუფლება ბიბლიოთეკასა და წიგნს გარანტად კი არ უდგას, არამედ პირიქით – თითქოს მათ წინააღმდეგ გამოდის.

ასეთ ვითარებაში, როცა არსებული ხელისუფლების პირობებში ნაკლები შანსია რაიმეს მიღწევისა, ჩვეულებრივ, რჩება იმედი იმისა, რომ მოვა ახალი ხელისუფლება და შეიძლება უფრო გონივრულად და შეგნებულად მოეკიდოს ამ საქმეს.



კვირეული 2011

ინფორმაციულ გარემოში დამკვიდრებისათვის...

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა განიხილება როგორც ქვეყნის ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ძირითადი რგოლი. მოსახლეობის ინფორმაციულ უზრუნველყოფისა და საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხზე ბევრნილად არის დამოკიდებული ბიბლიოთეკაში ორგანიზებული საინფორმაციო სამსახურის ეფექტური მუშაობა. ბიბლიოთეკარები მუდამ ასრულებდნენ წერილობითი ინფორმაციის დაცვის, ორგანიზებისა და გავრცელების ფუნქციას. ეს პროცესი გზადაგზა სულ უფრო იხვეწებოდა და ახალ საუკუნის დასაწყისიდან იგი განიხილება როგორც მკითხველთა მომსახურების ხარისხის ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორთაგანი. კომპიუტერული ტექნიკის დანერგვამ ბიბლიოთეკებში ერთობ დააჩქარა ინფორმაციის მოპოვების, შენახვისა და ხელმისაწვდომობის პროცესი. ბიბლიოთეკებში წარმოებული საინფორმაციო სამსახური ეფუძნება ინფორმაციის წყაროების მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ დამუშავებას. ელექტრონული საცნობარო აპარატის წარმოება, როგორც თანამედროვე ბიბლიოთეკების ფუნქციონირების აუცილებელი პირობა, ბიბლიოთეკებს საშუალებას აძლევს, მრავალმხრივ გახსნან საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსი და ოპერატიულად უზრუნველყონ მომხმარებელთა მომსახურება. თანამედროვე ბიბლიოთეკები, იქნება იგი საჯარო, სასწავლო, სპეციალური თუ სხვა ტიპისა, თავიანთ საცნობარო აპარატს აგებენ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, ითვალისწინებენ რა ქვეყნის ენობრივ სპეციფიკას, მკითხველთა საინფორმაციო და საბიბლიოთეკო – ბიბლიოგრაფიულ მოთხოვნებს.

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული მიმდინარე წელს სწორედ ასეთი დევიზით ჩატარდა: – „მთელი სამყარო თქვენს ბიბლიოთეკაში“. კვირეულის პროგრამებით ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. აქ ერთი გარემოება ხაზგასასმელია: – თუ ადრე მასობრივი ღონისძიებები ძირითადად ტარდებოდა საჯარო (ყოფილ მასობრივ) ბიბლიოთეკებში, ახლა ასეთი ღონისძიებების ჩატარება თითქმის სავალდებულო გახდა სასწავლო, კერძო თუ სპეციალური ბიბლიოთეკებისათვის. კვირეულის პროგრამით ტარდება როგორც ტრადიციული ფორმის ღონისძიებები, ისევე ახალი სახისა და ფორმის ღონისძიებები. მათი

ინიციატორები არიან ბიბლიოთეკარები, შემოქმედი სპეციალისტები, რომლებიც თვითონ წერენ მასობრივი ღონისძიებების სცენარებს, ატარებენ კომპლექსურ ღონისძიებებს, სადაც ბიბლიოთეკებთან ერთად მონაწილეობენ მუსიკალური სკოლების პედაგოგები, ბავშვთა აღზრდის პრობლემებით დაინტერესებული სპეციალისტები. საჯარო ბიბლიოთეკების თანამედროვე მენეჯერებმა ტრადიციულ ღონისძიებებს შესძინეს ახალი შინაარსი, ისინი სულ უფრო მეტად დაუახლოვეს მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნებს. ღონისძიებების ერთი ნაწილი ტარდება მკითხველთა დაკვეთით, მათი აქტიური მონაწილეობით. კვირეულის პროგრამით ჩატარებული ღონისძიებები ერთხელ კიდევ ადასტურებს ბიბლიოთეკების ცხოველმყოფელობასა და ადგილს ინფორმაციულ გარემოში. თითოეული ღონისძიება ორგანულად უკავშირდება წიგნს, ტრადიციულ ინფორმაციის წყაროს, ურომლისოდაც შეუძლებელია სამეცნიერო თუ სხვა სახის ამოცანების გადაჭრა.

შინაარსობრივი თვალსაზრისით გამოირჩევა საქართველოს მუნიციპალიტეტების საჯარო (მთავარ) ბიბლიოთეკებში ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებები. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი კულტურის სამსახურის ხელმძღვანელები; ამ მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს წყალტუბოს, კასპის, მცხეთის, გორის, რუსთავის, გურჯაანის, თელავის, სენაკის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ხობის, დუშეთის, ბორჯომის, ქუთაისის, ზუგდიდის, ონის, ბათუმის საბიბლიოთეკო სისტემები, მაგრამ გამორჩეულ ადგილს იკავებს ქთბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანება (გენერალური დირექტორი ც. კალმახელიძე). ამ სისტემაში მასობრივ მუშაობას მიეცა გეგმაზომიერი ხასიათი, სულ უფრო დაუახლოვდა ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესს; თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებში ჩატარებულ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერ-მუშაკები,



სასულიერო პირები, მწერლები, მსახიობები. ამ მხრივ ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა **მირზა გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა** (გამგე ქ. ნიკურაძე).

ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მწერლებთან, ხელოვნების ცნობილ სახეებთან, ახალი წიგნების წარდგენები, მკითხველთა კონფერენციები და



სხვ. მიმდინარე წელს ბიბლიოთეკაში მოეწყო მწერლისა და ჟურნალისტის ნ. გრიგალაშვილის ახალი ორტომეულის „თანამდევნი სული“ განხილვა – წარდგენა. ცნობილი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის შემოქმედებას მიეძღვნა ლიტერატურული საღამო, რომელიც ჩაატარა ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან არსებული რ. თაბუკაშვილის სახ. ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა, რეჟისორმა იზა ვეფხვაძემ. მსახიობმა მაღალ მხატვრულ დონეზე წარმოადგინა ესმა ონიანის შემოქმედება. საინტერესო ღონისძიებას ესწრებოდნენ



ქ. თბილისის მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკა, საქართველოს საბიბლიოთეკის, ასოციაციის პასუხისმგებელი პირები, ესმა ონიანის და ირინე ონიანი, პოეტები, მხატვრები, სტუდენტები, აქტიური მკითხველები, ხარაგაულის სოფ.

ლორემას მემორიალური მუზეუმის დირექტორი ნინო ჯიბუტი და სხვები. მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა შინაარსიანი და საინტერესო ღონისძიებებით ბევრ ღირსსახსოვარ დღეს ჩუქნის თავის მკითხველებს.

30-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. აბრამიშვილი) ჩატარდა წიგნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სათაურით „კაცთა მონიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე 54-ე საქალაქო ბიბლიოთეკის (გამგე ნ. კალმახელიძე) თანამშრომლები. შეხვედრაზე ისაუბრეს წიგნის როლისა და დანიშნულების შესახებ კომპიუტერულ ტექნოლოგიების პირობებში. მოხსენება „ქართული წიგნსაცავები“ წაიკითხა მაია ქორიძემ. ნორჩმა მკითხველებმა წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს მონტაჟი „ბიბლიოთეკარი“, სიმღერები შეასრულეს ნორჩმა მომღერლებმა მ. კენჩხაძემ და მ. ბეგაშვილმა. საკუთარი ლექსები წაიკითხა პოეტ-



მა დ. ტაკიძემ. დმსწრე საზოგადოებას თავისი ახალი ნაწარმოებები გააცნო მწერალმა ჯ. ქირიამ. ღონისძიება დაამშვენა საზეიმო კონცერტმა, რომელშიც მონაწილეობდნენ 103-ე სკოლის მოსწავლეები: მ. ჯილლაძე, მარიამ, მზია და ანა კენჩხაძეები, ს. თუთარაშვილი, მ. და ნ. ბეშიძეები, აგრეთვე 87-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე მსახიობი „შუა ქალაქიდან“ თ. ნიკოლაძე, 103-ე სკოლის დირექტორი ნ. შენგელიძე. წიგნისადმი მიძღვნილმა საღამომ კიდევ უფრო აამაღლა წიგნისა და ბიბლიოთეკის როლი და დანიშნულება.

49-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. ჯავახიშვილი) ჩატარებული ღონისძიება მიეძღვნა მომღერლის, პოეტის, კომპოზიტორისა და მთარგმნელის ინოლა გურგულიას ხსოვნას. 113-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დამსწრეთ გააცეს ინოლას ლექსები, დღიურები, ჩა-



ნახატები.

ლონისძიებას ესწრებოდნენ 113-ე სკოლის პედაგოგები: ლ. ცხოვრებაშვილი, ლ. ციციშვილი, თ. გიორგაძე, დირექტორი კ. გეჯაძე, მთავარი ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე რ. პაპავა.

55-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. ჩხარტიშვილი) ჩატარებული

ლონისძიება მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღს. ლონისძიებაში მონაწილეობდნენ 105-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, დირექტორი ქ. ტურიაშვილი, ისან-სამგორის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები. ვაჟას ბიოგრაფია და მისი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები საინტერესოდ წარმოადგინეს მოსწავლეებმა: თ. ჩუბინიძემ, გ. გოგრიჭიანმა, ბ. ნიკლაურმა, ნ. ასლამაზიშვილმა და სხვებმა. სიტყვებით გამოვიდნენ 49-ე ბიბლიოთეკის თანამშრომლები მ. ლომსაძე და 105-ე საჯარო სკოლის დირექტორი ქ. ტურიაშვილი.

მე-4 და მე-14-ე საქალაქო ბიბლიოთეკებმა (გამგეები რ. კუჭავა და თ. მელაძე) 6 მაისს ჩაატარეს ერთობლივი ლონისძიება თემაზე „თბილისი-ტოლერანტობის ქალაქი“. ლონისძიების ორგანიზატორი იყო 70-ე საჯარო სკოლის (დირექტორი გ. უთურაშვილი) კურსდამთავრებული, ამ(ამად მე-14-ე საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნ. ხალულაშვილი. სკოლის მეთოდისტმა ფ. მამედოვა-ქერიმოვამ ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორი ძმური ურთიერთობა აქვთ საქართველოში მაცხოვრებელ სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებს. დაწყებითი კლასების პედაგოგმა ნ. თაყნიაშვილმა ისაუბრა დაწყებითი კლასების მოსწავლეებზე, რომლებმაც თავიანთი მუსიკალური შესაძლებლობებით დაამშვენეს ლონისძიება. სკოლის მუსიკის პედაგოგის მ. მიქაძის ხელმძღვანელობით ქართული სიმღერები შეასრულეს

აზერბაიჯანელი, სომეხი და ქურთი ეროვნების მოსწავლეებმა. ლონისძიებაში მონაწილეობდა ინგლისური ენის პედაგოგი ლა ფეი, რომელმაც დიდი სითბოთი და ენთუზიაზმით ისაუბრა ქართული ხალხის სტუმართმოყვარეობისა და ტოლერანტობის შესახებ. ლონისძიებას ესწრებოდნენ მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პირები, რომლებმაც დადებითად შეაფასეს სხვადასხვა ეროვნების ბავშვების მიერ შესრულებულ მუსიკალური ნომრები. კერძოდ, აღინიშნა ძმების გიორგი და დავით ლაშაურების შემოქმედებითი უნარი და მონდომება. მოწონება დაიმსახურა აზერბაიჯანელი მოსწავლის მ. ოსმანოვის მიერ ფორტეპიანოზე შესრულებულმა სიმღერამ. ლონისძიებაზე სხვადასხვა მუსიკალური ნომრები შეასრულეს მოსწავლეებმა: გ. და ქ. ქაფიანიძეებმა, გ.



ცქვიტინიძემ, ხ. ალოლიშვილმა, ა. მამისაშვილმა, ნ. კვინტრაძემ; ლექსების მხატვრულ კითხვაში თავი გამოიჩინეს III კლ. მოსწავლეებმა: გ. როჭიკაშვილმა და ნ. პაპუნაშვილმა (პედაგოგი ნ. ნანობაშვილი). ლონისძიების დასასრულს მთავარი ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ც. კალმახელიძემ დიპლომებით დააჯილდოვა ნორჩ მკითხველთა საქალაქო შემოქმედებით კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები.

კვირეულის დევიზით ლონისძიებები ტარდება საქართველოს მუნიციპალიტეტების მთავარ (ცენტრალურ) საჯარო ბიბლიოთეკებში.

გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი გ. გლურჯიძე) კვირეულის პროგრამით ყოველთვის ატარებს საიუბილეო ლონისძიებებს.






ნისძიებებს; წელს ლიტერატურული საღამო მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას დაბადების 150-ე წლისთავს. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, ახალგაზრდები, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები. ღონისძიებას უძღვებოდა ნ. ლოლაშვილი. ლექსები წაიკითხეს ბიბლიოთეკარებმა: ლ. ლოლაძემ, ნ. ჯადუგიშვილმა; მკითხველებმა ნ. ლოლაშვილმა, ნ. მალალაშვილმა. ვაჟა-ფშაველას საკუთარი ლექსები მიუძღვნეს რაიონში მცხოვრებმა პოეტებმა: ე. კვეზერელმა, ნ. ყალაბეგაშვილმა, ნ. შალვაშვილმა, მ. ქართველიშვილმა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ზ. ნაცვლიშვილმა. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ნ. ნიჟარაძე, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მ. გლურჯიძე. კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ამავე ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში. ლიტერატურულ დილას უძღვებოდა ბიბლიოთეკარი ნ. ჯალუგიშვილი. ღონისძიება გააღამაზეს ბავშვებმა: ლ. მეფარიძემ, მ. ბაზერაშვილმა, ლ. ჯავშანაშვილმა და სხვებმა. ლექსები წაიკითხეს: გ. ბერუაშვილმა, ქ. მთიულაშვილმა, ს. ბეციაშვილმა. ლიტერატურული დილა დაამშვენა ქორეოგრაფიული სტუდიის მოცეკვავეთა გუნდმა.


დედოფლისწყაროს მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი მ. მაჭარაშვილი) გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა საინფორმაციო დღე, მოენყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ვაშლოვნის დაცული ტე-

რიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის პაატა ხუმარაშვილისა და ვიზიტორთა სამსახურის უფროსის ხ. ქოქუაშვილის მიერ ბიბლიოთეკისათვის წაჩუქარი წიგნები. მკითხველები გაეცნენ ლაგოდეხის ნაკრძალის, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლიჯვრის დაცული ტერიტორიების საველე მეგზურების, სპეციალურ ლიტერატურას. ღონისძიება ადგილობრივ გაზეთში „შირაქი“ გააშუქა ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა ჟ. ჯაგაშვილმა. საინტერესო იყო ამავე ბიბლიოთეკაში ჩატარებული ზეპირი ჟურნალი თემაზე „წაიკითხე წიგნები – უკეთესად იქნები“. მთავარმა სპეციალისტმა ჟ. ჯაგაშვილმა მიმოიხილა ბიბლიოთეკის ფონდში დაცული უძველესი ქართული გამოცემები, ისაუბრა წიგნის კითხვის სიკეთეზე, კომპიუტერის მნიშვნელობაზე; ზეპირი ჟურნალის მეორე გვერდი დაეთმო „სისხლიანი დღეების ქრონიკას“. საუბარს უძღვებოდა საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი თ. ელიაშვილი. შეხვედრაზე გაიხსენეს 1956 წლის 9 მარტს და 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა სახელები; ჟურნალის მესამე გვერდი შეეხებოდა სახელოვან ქართველ ქალებს. საუბარს უძღვებოდა მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი მ. მაჭარაშვილი. ზეპირი ჟურნალის მეოთხე გვერდზე წარმოდგენილი იყო დედოფლისწყაროს მკვიდრის რუსუდან კიკილაშვილის მიერ შესრულებული რამდენიმე გობელინის გამოფენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. საინტერესო ღონისძიება აღწერა და გაზეთმა „შირაქმა“ ნ. გორაშვილის წერილის სახით რაიონულ ბიბლიოთეკაში ჩა-



ტიც ხელმძღვანელი პირები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. საინტერესო ღონისძიება აღწერა და გაზეთმა „შირაქმა“ ნ. გორაშვილის წერილის სახით რაიონულ ბიბლიოთეკაში ჩა-





ტარდა აგრეთვე სპეციალისტის დღე სახელწოდებით „ამა წიგნსა უღვევლსა“. ღონისძიება კომპლექსური ხასიათისა იყო. დამსწრეებმა გაიხსენეს რაიონის საბიბლიოთეკო დარგის ამაგდარი სპეციალისტები, თანამედროვე პროფესიონალები, რომლებიც უნარიანად ხელმძღვანელობენ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებას და ატარებენ საინტერესო ღონისძიებებს. შინაარსიანი ღონისძიებით აღინიშნა საბიბლიოთეკო კვირეული რაიონის საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბიბლიოთეკებში. ყველა ასეთი ღონისძიება სისტემატურად შუქდება რაიონულ გაზეთში „შირაქი“ (რედაქტორი ნ. გორაშვილი).



ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ლ. ფერაძე) 14 აპრილს ჩატარდა „დედა ენის“ დღისადმი მიძღვნილი თემატური საღამო. ღონისძიება მიჰყავდათ მე-5 საჯარო სკოლის დეკლამატორებს მ. მაკარიძეს და მ. უგრეხელიძეს. მათ საინტერესოდ ისაუბრეს ქართული ენის დაცვის, მისი გამდიდრების საკითხებზე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ამავე სკოლის პედაგოგები: მ. კიკნაველიძე და ე. ზიბზიბაძე. მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონტაჟი ლექსისა „ანბანთქება“, ლექსებიწაიკითხეს აგრეთვე მოსწავლეებმა: გ. კვანტრიშვილმა, გ. რეხვიაშვილმა, ს. სოხაძემ, დ. ცერცვაძემ, დ. ფოფხაძემ და სხვებმა. სიმღერები შეასრულეს მ. გორგაძემ, ლ. ზუბაძემ, ე. წინილაშვილმა. საკუთარი ლექსი წაიკითხა მე-7 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ გ. მემარნიშვილმა. მისმა ლექსმა „ანბანთქება“ გაიმარჯვა განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსში.

რაიონის ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებები საინტერესოდ მიმოიხილა ცენტრალური ბიბლიოთეკის წამყვანმა სპეციალისტმა ც. თხელიძემ.

თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი მ. ნიკლაური) კვირეულის დღეებში მოენყო ბიბლიოთეკართა შეხვედრა თემაზე: „50 წიგნი, რომელიც აუცილებლად უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“. ინფორმაცია ამ თემაზე გააკეთა №1 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგემ ი. ჯამასპიშვილმა. ამავე დღეებში მოენყო გამოფენა „თელავი და თელეველები“. 29 აპრილს ჩატარდა თემატური საღამო „მზრდელი ყრმისა“. მომხსენებლებმა ისაუბრეს თელავის განათლებისა და აღზრდის კერებზე, წარმოდგენილი იყო წიგნები და სხვა სახის მასალები, რომლებიც შეეხებოდა თელაველ ღვანლმოსილ პედაგოგებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა მიიღო თელავის უნივერსიტეტის პროფესორებმა გ. ჯავახიშვილმა, ლ. იანვარაშვილმა, ქალაქის რაიონის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა, მოსწავლეებმა, სტუდენტებმა. ვაჟა-ფშაველას 150 წელთან დაკავშირებით საინტერესო ღონისძიება ჩატარდა სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე გ. ქირიკაშვილი). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, პედაგოგები, საბავშვო პოეტები.

იყალთოს სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. ყურშიტაშვილი) ჩატარდა ლიტერატურული საღამო „მშობელ მინაში მიდგას ფესვები“, ღონისძიება მიეძღვნა ლ. მრელაშვილის დაბადე-





ბიდან 85-ე წლისთავს, წინანდლის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. მაისურაძე) მოეწყო ამ სოფლის მკვიდრის ს. მეგუთნიშვილის წიგნის „წინანდალი“ წარდგენა. მთავარ ბიბლიოთეკაში ამერიკის კუთხემ ჩაატარა ღონისძიება თემაზე „ცნობილი ამერიკელი ქალბატონები“. ასევე გაიმართა საუბარი თემაზე: „ადამიანის უფლებები“ დისკუსიაში მონაწილეობდნენ სტუდენტები და საელჩოს წარმომადგენლები.

ქ. რუსთავის საქალაქო ბიბლიოთეკის გაერთიანებაში კვირეულის გახსნას ესწრებოდნენ ქალაქის მმართველობის ხელმძღვანელი პირები, მწერლები, მსახიობები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

კვირეული გახსნა გაერთიანების დირექტორმა ლალი თაბაგარმა. დამსწრეთ მიესალმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი, რომელმაც ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა წიგნები „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“ და „თბილისური სადარბაზოები“. კვირეულის გახსნაზე ლექსი წაიკითხა ზ. კვერენჩილაძემ, სიტყვით გამოვიდა კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია, აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელი მაიკლ ჰარლი, რომელმაც ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა „ამერიკის ხელოვნების ისტორია“. სიტყვებით გამოვიდნენ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე კახა გურგენიძე, ქალაქის მერი ზაქარია დარჩიაშვილი, საკრებულოს წევრი ლეილა აფციაური და სხვები. დამსწრეთ მიესალმა აგრეთვე ანზორ შონია, ბიბლიოთეკის დღეისათვის მოეწყო რუსთავის

ფოტორეპორტიორ რ.გაბრიჭიძის მიერ გადაღებული ფოტომასალების გამოფენა. აპრილისა და მაისის დღეებში ბიბლიოთეკაში მოეწყო საინტერესო შეხვედრები, წიგნების წარდგენა და სხვ. მრავალი ღონისძიება: 17 აპრილს შეხვედრა მოეწყო საბავშვო პოეტს ლ. ბეჟანიშვილს, 19 აპრილს მოეწყო ც. ბერიძის წიგნით „ლადო აღნიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ წარდგენა. 27 აპრილს გაიმართა რუსთაველი მწერლის გ. ჯახუას შემოქმედებითი საღამო. ასევე მოეწყო ვ. გოგოლაძის, ი. სულაბერიძის, თ. სიყმაშვილის შემოქმედებითი საღამოები და წიგნების განხილვები. საინტერესო იყო კარპე მუმლაძის გახსენების საღამო, რომელიც მიეძღვნა მისი დაბადებიდან 90-ე წლისთავს. საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე ქ. მამულაშვილი) და კერძო სკოლა „ჩირაღდანმა“ ერთობლივად ჩაატარეს პოეზიის საღამო „გაგაჩერებენ ჩემი ფიქრები“. კერძო სკოლა „ლამპარმა“ ჩაატარა ლიტერატურული დღილა „ჩვენი წარსული“. მოეწყო შეხვედრა საბავშვო პოეტ ე. გომაძესთან.



საბავშვო ბიბლიოთეკა – ფილიალში „ნაკადული“ (გამგე ნ. შერმადინი) მოეწყო ვიქტორინა – კონკურსი „ვინ უკეთ იცნობს ლადო მრეველიშვილის შემოქმედებას“. საბავშვო ბიბლიოთეკაში აღინიშნა ასევე გიმ-

ნაზიის პედაგოგის მ. ვადაჭკორიას საიუბილეო საღამო, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს წევრი ლ. აფციაური. მთავარ ბიბლიოთეკაში საინტერესო იყო ლექცია-კონცერტი „მუსიკა სულის ჰარმონია“, რომელიც მიეძღვნა ავსტრიელი კომპოზიტორის მოცარტის ცხოვრე-





ბასა და შემოქმედებას. ამავ ღონისძიებაზე საზეიმოდ დაიხურა კვირეული, რომლის პროგრამით ჩატარებულმა ღონისძიებებმა მკითხველთა საყოველთაო მონონება დაიმსახურა. კვირეულის ღონისძიებები დოკუმენტურად გააფორმა მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლეილა ხარბედიამ.

ხარაგაულის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ნ. ლურსმანაშვილი) კვირეული გახსნა პედაგოგმა

ზ. ბუაჩიძემ. ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული თეატრის (რეჟისორი იზა ვეფხვაძე) ინიციატივით აქვე მოეწყო ზ. ბუაჩიძის წიგნის „გზა გოლგოთისა“ განხილვა – წარდგენა. ღონისძიებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ნ. ებანოიძე, ი. ვეფხვაძე, ლ.



მანაგაძე, გ. ლომსაძე, ქ. შარიქაძე, რ. ფცქალაძე და სხვები. საინტერესო ღონისძიებები ჩატარა რ. თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულმა თეატრმა (რეჟისორი ი. ვეფხვაძე). თეატრის ინიციატივით ღონისძიებები მოეწყო გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში და მოსწავლე-ახალგზრდობის სასახლეში. ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ ღონისძიება მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისავეს. ბიბლიოთეკარმა მ. ბუაჩიძემ დამსწრეთ მოასმენინა ვაჟას ხმის ჩანაწერი.

კასპის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორი ვ. ბესტავაშვილი, მთავარი სპეციალისტი ე. ჩადუნელი) კვირეულის პროგრამით ღონისძიებები ჩატარდა სასოფლო ბიბლიოთეკებში. ლამისყანის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა თემატური საღამო „ბიბლიოთეკა და წიგნი“. ამ თემაზე ისაუბრა ბიბლიოთეკის გამგემ მათა ბეინაშვილმა. ნოსტისა და ახალციხის ბიბლიოთე-

კამ ჩატარეს ერთობლივი ღონისძიება „წიგნი ცოდნის წყარო“. ზემო ხანდაკისა და ზემო ჩოჩეთის ბიბლიოთეკებში ჩატარდა თემატური საღამო „ვაჟა ბუნების მგოსანი“. ვაჟას ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის პედაგოგები, თვალადის სასოფლო ბიბლიოთეკამ ჩატარა თემატური საღამო „ჩემი ბიბლიოთეკა და წიგნი“. მოხსენება გააკეთა ბიბლიოთეკის გამგემ ქ. მოდრეკილაძემ. იდღეთის სასოფლო ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო საბავშვო პოეტს ევგენია მამულაშვილს. აღიანის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული დილა „უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“, ქვემო ჭალის სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკებმა კულტურის სახლთან ერთად ჩატარეს ზეპირი ჟურნალი „ლექსი, ცეკვა, სიმღერა“. რენეს სასოფლო ბიბლიოთეკაში გაიმართა ლიტერატურული საღამო „მე-19 საუკუნის ქართველი საბავშვო მწერლები“. ამ თემასთან დაკავშირებით

მოეწყო გამოფენა. კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა მკითხველებთან. ღონისძიების მიზანს შეადგენდა ბიბლიოთეკის პოპულარიზაცია; აქვე გამოვლინდა ყველაზე აქტიური მკითხველი, რომელიც დაჯილდოვდა საპატიო სიგელით. მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა ასევე კონკურსი მხატვრულ კითხვაში,

რომელშიც მონაწილეობდნენ კასპის საჯარო სკოლების მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეები. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ წიგნებითა და საპატიო სიგელებით.

კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები ტარდება საქართველოს საჯარო სკოლებში, პროფესიული განათლების ცენტრებში.





თბილისის 182-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი ს. საბულუა, ბიბლიოთეკარი ნ. ასთავიშვილი – გოგოხია). 5 მაისს ჩატარდა ლიტერატურულ მუსიკალური კომპოზიცია „ნიგნია ჩემთვის სამყარო ვრცელი“. ღონისძიების მომზადებაში დირექტორთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით დირექტორის მოადგილეებს ე. ოდილაძეს და ლ. ბელქანიას. ნიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობის შესახებ



საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს უფროსკლასელებმა: ნ. სანაიამ, ვერულაშვილმა, ბერიშვილმა, გოგია და სხვებმა. საინტერესო იყო მოსწავლეების ზ. ბარბაქაძის, თ. ტაბატაძის, თ. თაქთუმანიძის, დ. გოგოხიას, ნ. ანდრიაშვილის, მ. ხელაშვილის, მ. მუხიაშვილის და სხვათა გამოსვლები. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტები, მშობლები, ბიბლიოთეკის აქტივი (თავმჯდომარე ვერულაშვილი). ღონისძიებამ კიდევ ერთხელ ცხადყო ნიგნის როლი და ადგილი ინფორმაციის საუკუნეში, მისი დანიშნულება მოსწავლეთა აღზრდისა და განათლების საქმეში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში ჩატარდა საინტერესო ღონისძიებები: ნიგნის წარდგენა, გამოფენები, შეხვედრები. ამ მხრივ საინტერესო იყო ქართული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე პრობლემებისადმი მიძღვნილი ორი საერთაშორისო კონფერენცია. პირველი ასეთი კონფერენცია გაიმართა 26-28 აპრილს თემაზე „ლიტერატურა და კულტურა, მოდერნიზმი, ავანგარდიზმი, მემკვიდრეობა და დღევანდელი“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ უცხოელი სპეციალისტები დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, აშშ-დან, სერბიიდან, საქართველოდან. მოხსენებები წარმოდგენილი იყო ილიას უნივერსიტეტიდან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტიდან, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან, ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიიდან, ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტიდან. კონფერენციის საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტის მუშაობაში ეროვნული ბიბლიოთეკიდან მონაწილეობდნენ ე. ჯგერენაია და გ. გორდელაძე. კონფერენციის მასალებს შეიძლება გაეცნოთ ილიას უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე: www.ILIAUNI-EDU.GE.

მეორე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა 2011 წლის 7-8 ივლისს თემაზე: „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები – 2011“. პირველ დღეს კონფერენცია მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მეორე დღეს – ა. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ უცხოელი ავტორები შოტლანდიიდან, ლიტვიდან, რუსეთიდან, ლატვიიდან, იზრაელიდან, შვედეთიდან, სომხეთიდან. კონფერენციაზე გ. კილამის (ეროვნული ბიბლიოთეკა) მოხსენების თემა იყო „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „ლექსიკონთა ერ-





თიანი ბაზა: პრობლემები და პერსპექტივები“. მომხსენებლები შეეხნენ ენისა და ლიტერატურის საკითხებს თანამედროვე პრობლემებს კომპიუტერული ტექნოლოგიების პირობებში. კონფერენციაზე მოსმენილი იყო 30-ზე მეტი მოხსენება. კონფერენციის მასალები გამოსცა გამომცემლობა „მერიდიანმა“ (თბ., 2011-154 გვ.) ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (დირექტორი ი. ღარიბაშვილი) მკითხველის ინფორმირებისა და საკუთარი საბიბლიოთეკო რესურსების პოპულარიზაციის მიზნით ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. 4 მაისს მოენყო ჟურნალ „ცისკრის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის წარდგენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ წიგნზე მომუშავე სპეციალისტები, გამომცემლები. 19 მაისს ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში შეიკრიბნენ პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლები, ნათესავები, ბიბლიოთეკარები. განახლებულ სახლ-მუზეუმში გამოფენილი იყო პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოცემები, პირადი ნივთები და სხვა სახის მემორიალური მასალები. საინტერესო იყო 20 მაისს ჩატარებული ღონისძიება – პოეზიის საღამო ჩვენი ჰერეთი – საინგილოს ანდამატი“. ღონისძიება გაიმართა კავშირ-პოეტურ ორდენის „მარადახალი ქნარის“ (ხელმძღვანელი მ. ღანიშაშვილი) ფარგლებში. მ. ღანიშაშვილმა მრავალგზის იმოგზაურა ჰერეთში და შექმნა ლექსების ციკლი. პოეზიის საღამო სწორედ მისი ინიციატივით მოენყო, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ჰერეთელმა პოეტმა ზაზა სუყაშვილმა. საღამოზე წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები ჰერეთულ დიალექტზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმარი ჰერეთიდან, ბიბლიოთეკის მკითხველები, პოეზიის მოყვარულები.

უკანასკნელი 3 წლის მანძილზე მნიშვნე-

ლოვანი ცვლილებები განიცადა წყალტუბოს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ს. სვანიძე); 2008 წელს ბიბლიოთეკა გადავიდა ქალაქის ცენტრში, ახლადგარემონტებულ ბინაში. გასულ, 2010 წლიდან ბიბლიოთეკა თანამშრომლობს პოლონეთის საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ფონდთან და იმერეთის ასოციაციასთან „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“. ამ პროექტთან თანამშრომლობით ახალი ერა დაიწყო წყალტუბოს ცენტრალურ, მაღლაკის სასოფლო ფილიალებსა და საბავშვო ბიბლიოთეკებში. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 2009 წლიდან წარმოებს ელექტრონული კატალოგი. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ამუშავდა უფასო ინტერნეტი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მკითხველთა რაოდენობა. ნაირფეროვანი გახდა ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებები. ღონისძიებებს ალამაზებს ფრაგმენტი ფილმებიდან, მუსიკალური ნომრები; ცენტრალური ბიბლიოთეკა საბავშვო ბაღებში აწყობს „მულტფილმების დღეს“, საჯარო სკოლებში ატარებს კლას-საღამოებს, უჩვენებენ დოკუმენტურ ფილმებს. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ფილიალებში ჩატარებული მასობრივი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: „სიყვარულის საღამო“, მწერალ ოტია იოსელიანის საიუბილეო კრებულის წარდგენა. ნ. ლორთქიფანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავთან დაკავშირებით ჩატარდა ფესტივალი „ვკითხულობთ ნიკოს“. ქალაქის №1, №2 და მაღლაკის საბავშვო ბიბლიოთეკაში მოენყო „მულტფილმების ხუთშაბათი“, რამაც ბავშვებში დიდი ინტერესი გამოიწვია. მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის ნაჩვენები იყო კინოფილმები „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ და „გოდერძი ჩოხელი“.

ბიბლიოთეკა სისტემატურად თანამშრომლობს საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებთან,





ენყობა სემინარები თანამედროვე სტანდარტების გატარების მიზნით. ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წელთან დაკავშირებით მოენყო ვიქტორინა – კონკურსი „რა ვიცით ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ“. მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა კონკურსი – „ვხატავ მოსმენილის ილუსტრაციას“. მოენყო სალამო-კონკურსები „ქართულ კალიგრაფია“ და „შვილი რომ სჯობდეს მამას“. ბიბლიოთეკა სისტემატურად თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან და ხელოვნების დანესებულებებთან, რაც ერთობ საინტერესოს ხდის თითოეულ ღონისძიებას, როგორც იყო, მაგალითად, ფესტივალი „ეკითხლობთ ნიკოს“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რაიონის 25-ე სკოლამ და 14 საკლუბო დანესებულებამ, მათ კითხვის კონკურსისათვის წარმოადგინეს 52 მონაწილე. მეორე პროექტში „ექიმის დღე ბიბლიოთეკაში“, რომელშიც მონაწილეობდა ექიმების გარდა მონაწილეობდა 23 მშობელი და 10 ბავშვი. შინაარსიანი იყო. სალამო თემაზე

„სხვას რასა აქვს ფასი ქვეყნად, რომ არ იყოს ხელოვნება“. წარდგენილი იქნა ახალი წიგნები. პროექტის იდეა ეკუთვნის სამხატვრო სკოლის დირექტორს ა. ჯიბუტს. საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა წყალტუბოს №1 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში. მოენყო ვიქტორინა-კონკურსი „ვინ უკეთესად იცნობს დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას“; „მაყვალა მრევლიშვილის სალამო“, განხილვა ვაჟა-ფშაველას მოთხრობისა „შვილის ნუკრის ნაამბობი“ და ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოები-სა „ტრაგედია უგმიროდ“.

პროექტში მონაწილეობამ და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ ბიბლიოთეკის მუშაობას მისცა ახალი შინაარსი, მიმართულება, უფრო ოპერატიული გახდა მკითხველთა მომსახურება, რომელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა ბოლო სამი წლის მანძილზე. ასეთი შედეგი მიღებულ იქნა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მაღლი პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობის შედეგად.



მიმოხილვა შეადგინა ბურამ თაყნიაშვილმა

ცისანა ქორეჩაშვილი

მთელი სამყარო თქვენს

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის
ლიტ. სალონის ხელმძღვანელი

ბიბლიოთეკაში

ბიბლიოთეკების ტრადიციული კვირეული ქ. თბილისის საბიბლიოთეკო ქსელში მიმდინარე – 2011 წელს წარიმართა დევიზით „მთელი სამყარო თქვენს ბიბლიოთეკაში“. კვირეულის გეგმა-გრაფიკი აპრილის დასაწყისშივე შემუშავდა თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში (გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძე). ვრცელ გეგმაში მრავალი ღონისძიება დაისახა, რომელთა დიდი წილი ვაჟა ფშაველას საიუბილეო წელს ეხმანებოდა. მრავლად იყო წარმოდგენილი აგრეთვე თემები ბიბლიოთეკისა და მკითხველის, წიგნის მნიშვნელობის, ლიტერატურის მოღვაწეთა, მწერლების, პოეტების, მეცნიერების მკითხველებთან დაახლოვების

საკითხებზე; სხვადასხვა ჯგუფური, თემატური თუ პერსონალური გამოფენები. კვირეული იმდენად იყო დახუნძლული საინტერესო თემატიკით, რომ გასცდა კიდეც დადგენილ ჩარჩოებს და თითქმის მთელი აპრილი და მაისი „დაიპყრო“.

კვირეული ერთდროულად გაიხსნა რამდენიმე ბიბლიოთეკაში:

ვაჟა ფშაველას თხზულებათა გამოფენები მოენყო ქ. თბილისის მთავარ ბიბლიოთეკასა და მის მე-18-ე, 25-ე, 41-ე, 32-ე, 23-ე, 33-ე, 45-ე და სხვა ფილიალებში. ეს ღონისძიება წლის ბოლომდე გაგრძელდება და მკითხველებს გააცნობს ვაჟას შემოქმედებას, მის



ბრძნულ აზრებსა და გამონათქვამებს.

21–30 აპრილს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში მოენყო სააღდგომო გამოფენა დევიზით „აქებდეთ უფალსა“, რომელზეც წარმოდგენილი იყო ცნობილი მხატვრების: ესმა ონიანისა და რევაზ ადამიას, საქართველოს სახალხო მხატვრის ნელი ოქროპირიძის, ნიჭიერი მოყვარული მხატვრების: ლილი დეკანოიძის, დალი ხაჭაპურიძის, ნანა ახვლედიანის, ლიანა ლუდუშაურის, ლიანა ანიაშვილის, ნორჩი მხატვრების: მარიამ გომურაშვილის, ელენე ეფხოშვილის, ოთარ გელაშვილის ნამუშევრები (ხატები, ფერწერული ტილოები, ქსოვა-ქარგულობა, ბუნებრივი მასალები, თეჯა, გობელენი, ქვილთი). გამოფენის გახსნა ხელოვნების ზეიმად იქცა.

ადრიანად შეუდგა კვირეულისთვის მზადებას ლადო ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა (ხელმძღვანელი ინგა არგუტინსკაია), საინტერესო შეხვედრები შედგა პოეტებთან ბონდო მაცაბერიძესა და რატი ამალღობელთან, მოენყო სალონური საღამო „ქართული მუსიკის გენია – ზაქარია ფალიაშვილი“. ბიბლიოთეკართა კლუბმა („დიალოგი“) საინტერესო „ერთი დღე“ მოაწყო ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან და 29 აპრილს უმასპინძლა კოლეგებს სხვადასხვა ბიბლიოთეკებიდან: მთელი კვირის მანძილზე სხვადასხვა ასაკის მკითხველები-სათვის ტარდებოდა საუბრები „ინფორმაცია, ინფორმაცია“...

მთელი დატვირთვით მუშაობდა კვირეულის პერიოდში მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდული ბიბლიოთეკა (ხელმძღვანელი ქეთევან ნიკურაძე). ძნელია სრულად ჩამოთვალო შინაარსიანი შეხვედრები ახალგაზრდა პოეტებთან, შემოქმედ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობასთან – დეკლამატორებთან, მუსიკოს-შემსრულებლებთან, მხატვრებთან, რომლებიც ბიბლიოთეკის არა მარტო მკითხველები, არამედ დიდი მეგობრებიც არიან. ამ

შეხვედრებს ამშვენებდა ავტორთა ფოტო და მხატვრულ ნამუშევართა გამოფენები. დიდი ინტერესით შეხვდნენ მკითხველები მწერალსა და ჟურნალისტს ნოდარ გრიგალაშვილს, რომელიც ბიბლიოთეკის ახლადგამოცემული ორტომეულით („თანამდევნი სული“) ესტუმრა და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ახალ, დასაბუთებულ ფაქტებზე ისაუბრა.

არაერთი ღონისძიება მიუძღვნა კვირეულს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 42-ე ფილიალმა (ხელმძღვანელი ომარ შოთაშვილი): ნორჩ მკითხველთა შემოქმედებას მასპინძლობდა საღამო – „გულით ნათქვამი“, სადაც სტუმრებმა მოისმინეს ნორჩ მკითხველთა ლექსები და ლიტერატურული ჩანახატები; ასეთივე ხასიათისა იყო ნორჩ შემოქმედთა საღამო-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მე-7 და 129-ე საჯარო სკოლების მე-4 და მე-5 კლასელები. საკონცერტო პროგრამაში იყო მათ მიერ შესრულებული სიმღერები და ცეკვები. ამას მოჰყვა ნორჩ მხატვართა ნამუშევრების ორი გამოფენა – „მე მიყვარს ჩემი სკოლა“ და „მე და ჩემი დედიკო“.

„დავეუფლოთ კითხვის კულტურას“ – ამ პროექტის ერთ-ერთი დღე ჩატარდა კვირეულის ჩარჩოში, რომელსაც მე-7, 189-ე და 190-ე სკოლების 42 მოსწავლე ესწრებოდა და რომელიც პედაგოგებისა და მსახიობების მონაწილეობით წარიმართა. ამავე ბიბლიოთეკაში მოენყო მიკრორაიონში მცხოვრები 20 მხატვრის ნამუშევრების გამოფენა, რომლისადმი ინტერესი ისეთი დიდი იყო, რომ სამომავლოდ დაიგეგმა.

საგულდაგულოდ უნდა აღინიშნოს 45-ე და 44-ე ფილიალების (ხელმძღვანელები მაია ოთარაშვილი, ნაირა სკანგელი) ერთობლივი ნამუშევარი „ვაჟას გახსენება“, რომელშიც მონაწილეობდნენ 107-ე და 168-ე საჯარო სკოლების შემოქმედი მოსწავლეები. საღამოზე ხატოვნად იყო წარმოდგენილი ვაჟას ცხოვრება





და შემოქმედება, ეთნოგრაფიული გამოფენა, მთის სიმღერები და ცეკვები, სალამოს ესწრებოდნენ პოეტები ბალათერ არაბული და შერმადინ ჯიხვაშვილი (45-ე ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი).

მონვეული სტუმრები აღაფრთოვანა მთავარი ბიბლიოთეკის მე-18, 25-ე, 32-ე და 41-ე ბიბლიოთეკების (ხელმძღვანელები ნანა ბაიაშვილი, ეთერ ქისიაშვილი, ლიანა უხურგუნაშვილი, ანა მაჭავარიანი) მიერ მომზადებულმა პროექტმა – „შენ სულ სხვა იყავ, მგოსანთა მგოსანო“, რომელიც ვაჟა-ფშაველას 150-ე წლისთავს მიეძღვნა. ამ ბიბლიოთეკების მკითხველებმა, თეატრალური და სამედიცინო უნივერსიტეტების სტუდენტებმა, სკოლა „კანდიდის“ მოსწავლეებმა შესანიშნავი სანახაობა წარმოადგინეს.

ვაჟა-ფშაველას სალამო („ჩვენი ვაჟა“) მიუძღვნა იუბილარ პოეტს 33-ე ბიბლიოთეკამ, რომელსაც ბიბლიოთეკის გამგე ჟუჟუნა ჩეკურიშვილი უძღვებოდა. დარბაზი ვერ იტევდა ვაჟას პოეზიის თაყვანისმცემელთა, საპატიო სტუმართა, ზემის მონაწილე მკითხველთა, თვით ვაჟას შთამომავალთა და ნათესავთა სიმრავლეს, ლექსს ესე ცვლიდა, ჩანახატს დეკლამაცია და ამას მშვენივრად ართმევდნენ თავს წამყვანები (მირანდა სურმანიძე და ლევან ინასარიძე).

ვაჟა-ფშაველას ხსოვნას მიეძღვნა 28-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის ღონისძიება „ეს გაზაფხულიც მოსულა“ (ხელმძღვანელი მაგული გუგავა). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 83-ე, 82-ე და 94-ე სკოლების მოსწავლეები, რომლებმაც ლექსები და სიმღერები უძღვნეს დიდ პოეტს, მათივე ხელებით შეიქმნა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა.

5 მაისს 55-ე ფილიალში ჩატარდა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ღონისძიება „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“ (გამგე ლიანა ჩხარტიშვილი). ღონისძიებას ესწრებოდნენ ისან-სამ-

გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი შოთა გრიგორია და 45-ე ფილიალის თანამშრომლები.

ქართული ენის სინმინდეს, „დედა-ენას“ და წიგნს ეძღვნებოდა მე-3, 21-ე, 30-ე და 63-ე ბიბლიოთეკების თემატური ღონისძიებები.

მე-3 ფილიალში (ხელმძღვანელი თამარ ცხოვრებაშვილი) მოეწყო სალამო – „ო, ენავ ჩემო“, რომელშიც საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, 87-ე, 89-ე და 111-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები მონაწილეობდნენ. საკუთარი ლექსები წაიკითხეს მკითხველებმა, ბიბლიოთეკარმა ნანი მაისურაძემ, სალამოს საზეიმო ელფერს ჰმატებდა მუსიკალური ნომრები და გამოფენა – „მადლი დედაენისა“.

„დედაენის“ დღეს მიეძღვნა 21-ე ფილიალისა (ხელმძღვანელი ზეინაბ ზაქარიაშვილი) და 144-ე საჯარო სკოლის პროექტი „ენა დედაა ერისა“. ეს იყო ბიბლიოთეკის თანამშრომლების, ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი კლასების პედაგოგების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლების მიერ დიდი პასუხისმგებლობით მომზადებული სალამო, სადაც მოსწავლეები გატაცებით კითხულობდნენ ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ ნონეშვილის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილის, ირაკლი აბაშიძის დედაენისადმი მიძღვნილ ლექსებს, ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს და ცეკვებს, მკითხველები გაეცვენენ უძველესი ასომთავრული, ნუსხური წარწერებით და ხელნაწერებით მომზადებულ სლაიდ-შოუსს. ჩატარდა ვიქტორინა, მოეწყო გამოფენა. მეორე დღეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და მკითხველებმა ყვავილებით შეამკეს „დედაენის“ ძველი სანაპიროზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს 30-ე და 54-ე ფილიალების (ხელმძღვანელები მზია აბრამიშვი-





ლი, ნინო კალმახელიძე) ერთობლივი საღამო: „კაცთა მონიჭებული სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაი არს“, ლონისძიების სტუმრები იყვნენ რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი დავით შემოქმედელი, მწერალი ჯემალ ქირია, მსახიობი თამუნა ნიკოლაძე. საღამოზე წარმოდგენილ იქნა ლიტერატურული მონტაჟი „ბიბლიოთეკა“.

63-ე ბიბლიოთეკა-ფილიალმა (ხელმძღვანელი მზია გურგენიძე) ჩაატარა საღამო „მოგზაურობა წიგნის სამყაროში“, რომელზეც საინტერესო გამოფენა იყო წარმოდგენილი.

„სიყვარული აგვამალლებს“ – ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის № 23 საქალაქო ბიბლიოთეკის (ხელმძღვანელი მაყვალა მთვარაძე) კვირეულისადმი მიძღვნილი თემა, რომელიც ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა, მოწვეულთა შორის იყვნენ: რუსთაველისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრების, ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგები და მოსწავლეები, საღამოს მთავარი თემა ილიასა და ოლა გურამიშვილის ულამაზესი სიყვარული იყო. საღამოს შვენოდა მსახიობ გუჯი ბურდულის მიერ შესრულებული სიმღერები.

როგორ არ გავიხსენოთ კვირეულისადმი მიძღვნილი 53-ე, 51-ე და 24-ე ბიბლიოთეკა-ფილიალების (ხელმძღვანელები მუნვერ ბერიძე, ნანა ჯანელიძე, ნუნუ მამნიაშვილი) ერთობლივი პოეტური კრებულის („მერანი“) პრეზენტაცია, რომელიც ქ. თბილისის მერიის თანადგომით გამოიცა და რომელშიც შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პრემიის მოსაპოუებლად გამართული კონკურსის გამარჯვებულთა ლექსები. პოეტებმა თ. თაბაგარმა, ი. ყარჩილაგამ, ც. ბუკიამ, თ. ჭელიძემ, ნ. ბეთუარეთელმა საკუთარი ლექსები წაიკითხეს. საღამო მუსიკალურად გააფორმა „ნიჭიერის“ ფოლკლორულმა ანსამბლმა („ფიცვერხლი“). საღამოს ესწრე-

ბოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, შ. რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე დავით შემოქმედელი, აზერბაიჯანელი პოეტი რაშიდ ფახრალი და პოეტი-მთარგმნელი იმირ-მამედელი, რომლებმაც 53-ე ბიბლიოთეკას საკუთარი წიგნები გადასცეს საჩუქრად.

დაუვიწყარია 38-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის (ხელმძღვანელი ეთერ წენგუაშვილი) წიგნისა და ბიბლიოთეკის სიყვარულისადმი მიძღვნილი შესანიშნავი სანახაობა: „მთელი სამყარო თქვენს ბიბლიოთეკაში“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ლია ხოფერია), სადაც მკითხველებმა წარმოადგინეს ნაწყვეტები ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებიდან, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებიდან, გათამაშდა ვიქტორინა „ვინ მეტი იცის“.

ინოლა გურგულიას წიგნის – „ღიმილი მინდა“ – პრეზენტაცია, ხსოვნის საღამოდ იქცა, რომელსაც მისი ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ, ხოლო მიხეილ ხელაშვილის ხსოვნის საღამო – „ლექსო, ამოგთქომ ოხერო“ ხალხური პოეზიის ნამდვილი ზეიმი იყო. ასეთივე ამაღლებული და შინაარსიანი იყო 61-ე ბიბლიოთეკა-ფილიალის ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, რომელსაც ფილიალის გამგე ქალბატონი ლილი ფანჩულიძე წარმართავდა.

დაუვიწყარია მთავარი ბიბლიოთეკის მე-9, მე-19, 33-ე, 38-ე და 57-ე ფილიალების (ელენე კასრაძე, გუგული კვიციანიძე, ყუყუნა ჩეკურიშვილი, ეთერ წენგუაშვილი, ლალი გოქაძე) მიერ მწერალსა და კინორეჟისორზე – გოდერძი ჩოხელზე სიყვარულით შექმნილი წიგნი, ეს უდიდესი საჩუქარია მთელი ქართველი საზოგადოებისათვის. სწორედ ამიტომ ატარებდა საზეიმო ხასიათს ეს აქცია, რომელსაც გოდერძი ჩოხელის მეუღლე, მისი მეგობრები, პოეტები და თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ (ნინო ჩოხელი, გიორგი და კობა არაბულაძე, მანანა



ნიკლაური, გოდერძის „ფანები“ ხატია მაღლაფერიძე, სოფო სირაძე, ნიკა მელაძე, მოსწავლე-მკითხველები, რომლებმაც გაგვაოცეს საკუთარი შემოქმედებით.

ცხადია, კვირეულის ამ ფერხულში არ ეგების თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა და მისი ლიტერატურული სალონის („საგულისონი“) კოორდინატორების ნანა ბინაძისა და ღვთისო მესხიძის მიერ განეული შრომის დავიწყება, მთავარი ბიბლიოთეკის ყველა განყოფილებისა და სხვა სტრუქტურული დანაყოფების, სამკითხველო დარბაზის თანამშრომელთა თანადგომის აღუნიშნაობა, რომელთა ღვაწლის შედეგად ბიბლიოთეკის კვირეულმა მაღალ დონეზე ჩაიარა. ისინი დედაქალაქის თითქმის ყველა ბიბლიოთეკა-ფილიალის ღონისძიებას ესწრებოდნენ და ეხმარებოდნენ.

ზემოთ უკვე აღნიშნული უაღრესად საინტერესო გამოფენების გარდა, ვერ დავივიწყებთ კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს – პოეტების რამაზ ბერაძისა და გია ჭყონიას, პოეტისა და მთარგმნელის ნატო თხილავას ახალი წიგნების პრეზენტაციებს; ქ. თბილისში მცხოვრები რუსულენოვანი პოეტების, მთარგმნელების და „ბარდების“ პოეზიის საღამოს – „პოეტური ალავერდი“, მცირე სახალხო ანთოლოგიის მე-8 კრებულის პრეზენტაციას, რომელშიც ბიბლიოთეკარი პოეტების – ნათელა აბულაძის, ნანა ხომერიკის, თეა თავართქილაძის, ალექსანდრე ჯამატაშვილის, ნანი მაისურაძის და სხვათა შემოქმედებასაც შეხვდებით.

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს კვირეულზე სპეციალურად მოწვეული ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის (მსახიობი, რეჟისორი და მხატვარი იზა ვეფხვაძე) სამი მშვენიერი სპექტაკლი თბილი-

სის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სახელის კინოდარბაზსა და მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში, რომელმაც მოხიბლა და აღაფრთოვანა ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები (ლიტერატურული თეატრის ეს სპექტაკლები ამაღელვებლად მოგვითხრობდნენ მხატვარ ესმა ონიანსა („ისევ მე ვარ, ისევ მოვსულვარ“) და ესოდენ ძვირფასი შემოქმედის – რეზო თაბუკაშვილის განვილი ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ამ სპექტაკლების შემქმნელი და შემსრულებელი უნიჭიერესი იზა ვეფხვაძე გახლდათ.

არც იმ ორი დღის დავიწყება შეიძლება, რომელიც მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და საბავშვო განყოფილების იმ მკითხველთათვის მოეწყო, რომლებიც წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ სკოლებთან ურთიერთობის ახალ პროექტში (მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილის ლელა ასკურავას ხელმძღვანელობით) და რომელიც გაკვეთილების სახით იმართება. ეს ორი დღე თოჯინების დიდოსტატის, ან გარდაცვლილი გარი დავთიანის ნამდვილად ჯადოსნურ სამყაროში მიმდინარეობდა, რომელსაც წარმატებით უძღვებოდა გარდაცვლილის მეუღლე უანა დავთიანი. აღსანიშნავია, რომ მეორე დღეს შეხვედრის სტუმარი იყო ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, პოეტი და მწერალი ზაალ სამადაშვილი.

კვირეული დაავგვირგვინა თბილისში იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის საზეიმო გახსნამ, რომელიც საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაციის პრეზიდენტის, ირაკლი ღარიბაშვილის ორგანიზატორობით და მთავარი ბიბლიოთეკის თანადგომით შედგა და დედაქალაქის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

გენადი მახარაძე

ბათუმის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი

კვირეული ბათუმში

ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს ბიბლიოთეკართა კვირეულში და, საერთოდ, დიდ მუშაობას ეწევა მკითხველებთან კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით.

2011 წლის 27 აპრილს აქ ჩატარდა კვირეულის

გახსნა. ამ ღონისძიებას თან ახლდა წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო, რასაც მოჰყვა პროფესორ სიორიძის წიგნის „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“ წარდგენა. ბიბლიოთეკის დირექტორის გ.მახარაძის შესავალ სიტყვას მოყვა გამოსვლები. სიტყვით გამოვიდნენ: პროფ. ა. მახარაძე, პროფ. ი.



მანველიძე, პროფ. მ. მეგრელიშვილი, დოქტ. რ. მალაყმაძე, დოქტ. რ. უზნაძე, დოქტ. ბ. დიასამიძე, პროფ. ა. ლორია, ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი მ. სულაბერიძე.

28 აპრილს ორი ღონისძიება ჩატარდა განსაკუთრებით ორიგინალური იყო საბიბლიოთეკო გაკვეთილი „ერთსულოვნება“, რომელიც ჩატარდა. აკაკი წერეთლის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში. ამ განყოფილების გამგის ი. გოგიბერიძის შესავალი სიტყვის შემდეგ ღონისძიებას გაუძღვა მთავარი ბიბლიოთეკარი მ. კვაჭაძე. მსმენელების წინაშე თავიანთი რეფერატებით გამოვიდნენ ქალაქის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები: ნიკა მაჭავარიანი, დათო ურუშაძე, ნინო გოგოლიშვილი, სესილი თურმანიძე, თამაზ მჟავანაძე, მარი ხაზარაძე, მარი მორჩილაძე, ნოდარ ადვიშვილი, შორენა ბერიძე, ანა დოლიძე, თამუნა დავითაძე, ზურაბ ჩიჩუა, ლაშა ვარშანიძე, გიორგი გოგოლიშვილი.

მეორე ღონისძიება გაიმართა მთავარი ბიბლიოთეკის მრავალრიცხოვანი მკითხველებისათვის. ეს იყო თემატური კონფერენცია – „XX საუკუნის ამერიკული სახვითი ხელოვნება“. შესავალი სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი ქ. ხოსრუაშვილი, ღონისძიება წაიყვანა ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის“ მთავარმა ბიბლიოთეკარმა ს. ჟორჯიკაშვილმა.

მსმენელების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: პედაგოგები: თ. ჩიმაკაძე და სვეტა თედორაძე, სტუდენტები მ. ჩიკაშუა და ვ. ზალდასტანიშვილი, მოსწავლე მ. მუჯირი და აბიტურიენტი ი. გოგობია.

განსაკუთრებით ხალხმრავლობით გამოირჩეოდა კვირეულის დახურვა 29 აპრილს. ის ამავე დროს მიეძღვნა ბიბლიოთეკარის დღეს, რომ-

ლის პროგრამითაც შეხვედრა მოუწყვეს აჭარის ბიბლიოთეკების მერვე კონკურსში გამარჯვებულებს.


შესავალი სიტყვით გამოვიდა და ღონისძიება წაიყვანა ბიბლიოთეკის დირექტორმა გენადი მახარაძემ. ნაჩვენები იყო საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობის ამსახველი სლაიდები. გ. მახარაძემ ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის სიგელით, ფასიანი საჩუქრებითა და თაიგულებით დააჯილდოვა კონკურსში გამარჯვებული 10 სპეციალისტი. გარდა ამისა, მანვე დაასაჩუქრა ბათუმისა და რაიონებიდან ჩამოსული ბიბლიოთეკარები. სიტყვებით გამოვიდნენ: მწერალი და თვალსაჩინო მეცნიერი რ. სურმანიძე; საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნ. თურმანიძე, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორი ალ. ლორია; მთავარი ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი ე. ცივაძე, საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი მ. ბოლქვაძე, საღამო ნამდვილად დიდ ზეიმად იქცა და დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩატარებულ ღონისძიებებს მაღალი შეფასება მიეცა. კვირეულის ყველა ღონისძიება შუქდებოდა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მიერ.

აჭარის პრესა დიდი ინტერესით გამოეხმაურა არა მარტო კვირეულის მოვლენებს, არამედ მას შემდეგაც გამართულ ღონისძიებებს, კერძოდ, ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს „ბათუმი – ჩემი ლურჯი ოცნება“, რომელიც მოეწყო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში 25 მაისს.

ბიბლიოთეკის დირექტორის შესავალი სიტყვის შემდეგ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს გაუძღვა ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი მ. სულაბერიძე.

მოგონებებითა და ბათუმზე თავიანთი შეხე-





დუღებებით გამოვიდნენ: საქ. სახალხო არტისტი ი. ცანავა, საქ. სახალხო არტისტი ლ. ლლონტი, მწერალი და მეცნიერი რ. სურმანიძე, მოსწავლეთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ს. მელია, ჟურნალისტი ა. კილურაძე, პოეტი ვ. ლლონტი.

ღონისძიება მიმდინარეობდა მერიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქალთა კამერული ანსამბლის თანხლებით (ხელმძღვ. ზაირა და გელა ვადაჭკორიები). მხატვრული გამოსვლით დიდი ინტერესი გამოიწვია ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობმა ბ. მიქაუტაძემ. მეტად შთამბეჭდავი იყო გიმნაზია „XXI საუკუნის“ მოსწავლეთა გამოსვლა. ესენი იყვნენ: მაია კახიძე, თემურ გიგინეიშვილი, კახა გოგიტიძე, მამუკა ასათიანი, თეატაკიძე, ნათია გოგიტიძე, გიორგი დუმბაძე. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტმა მაია დუმბაძემ ისაუბრა თემაზე

„ძველი ბათუმის არქიტექტურული სივრცე“, რასაც თან ახლდა სლაიდების ჩვენება.

საღამოზე მოენყო აგრეთვე სლაიდ-შოუ „თანამედროვე და მომავლის ბათუმის ხედები“ და სლაიდების ჩვენება თემაზე „სიმღერები ბათუმზე“.

ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკა წელს განსაკუთრებული აღმავლობით შეხვდა „საბიბლიოთეკო კვირეულს“, ახალგარემონტებული შენობა, შესანიშნავად მოწყობილი ინტერიერი, ახალი ავეჯი და კომპიუტერები, მაღალპროფესიული მომსახურება და საინტერესო ღონისძიებები უდავოდ დიდ ინტერესსა და მაღლიერებას იმსახურებს საზოგადოებისა, მკითხველებისა, რომლებიც ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ემატებიან ბიბლიოთეკის მკითხველთა საერთო შემადგენლობას.



კორესპონდენციები

დავით არაბიძე


ნათელი გულით

XX საუკუნის 90-იანმა წლებმა ჩვენი ქვეყნის რეალობად აქცია სათნოების სახლი „კათარზისნი“, თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ეს სახლი არა ერთი ადამიანისთვის თბილ სავანედ არის ქცეული.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ადამიანი პურით საზრდოობს, მაგრამ პურზე არა ნაკლებ მას სულიერი და გონებრივი საზრდო ესაჭიროება.

დღეს სათნოების სახლ „კათარზისში“ მოქმედებს კლუბი-ბიბლიოთეკა, რომელსაც თაოსნობს ამ საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი,

რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ქალბატონი ლილი გორდელაძე. მისი სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში, მკითხველთათვის, განსაკუთრებით კი მეცნიერთათვის, მკვლევართათვის, სტუდენტი და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. მუდამ საქმიანი, სიახლის მძებნელი, ენერგიული პროფესიონალი, ყველა ადამიანის მიმართ გულგახსნილი და ყურადღებიანია. იგი მზადაა, დაეხმაროს წიგნის ყველა მოყვარულს სათანადო რჩევით. თავისი სამუშაო საქმიანობით იგი ყოველთ-



ვის გამორჩეულია. მისი უმუშალო ინიციატივითა და ორგანიზებით სატნოების სახლის კლუბ-ბიბლიოთეკაში დაფუძნდა ლიტერატურულ-მუსიკალური სალონი „საპოვნელა“. ამ კულტურული კერის ჩამოყალიბებით ახალი ხალისი და სიცოცხლის ოპტიმიზმი დამკვიდრდა „კათარზისის“ ბენეფიციართა არც თუ იოლ ცხოვრებაში. „კათარზისის“ კედლები ახალმა სხივმა გაათბო.

2011წლის 19 აპრილს ქალბატონ ლილი გორდელაძის თაოსნობით, „კათარზისში“ გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური სალონის „საპოვნელას“ პრეზენტაცია. წარმოდგენის რეჟისურა ითავა ბატონმა ნიკო ბალაშვილმა, თანამონაწილეობდნენ ახალგაზრდა მსახიობები ნინო დარსაველიძე, ანრი ღუდუშაური, თიკო ბედიანაშვილი, კათარზისის ბენეფიციარი მუსიკოსი და შემსრულებელი მაცყვალა ბერძენიშვილი.

პრეზენტაცია შთამბეჭდავად დაიწყო. კლუბ-ბიბლიოთეკაში სრული სიჩუმეა, იღება კარი, დარბაზის შემოსასვლელში წიგნით ხელში დგას ქალბატონი ლილი, მის უკან სამი ახალგაზრდა დგას, ისინი კლუბ-ბიბლიოთეკის ახალი მკითხველები არიან. დარბაზში ისმის გულში ჩამწვდომი,



ბიბლიოთეკარი ლილი გორდელაძე მკითხველთან ერთად

მშვიდი ჰანგები – „კათარზისის“ ჰიმნი, რომლის ტექსტი ეკუთვნის ბენეფიციარს, პოეტი ქალბატონს ლალი ცქვიტინიძეს, ხოლო მუსიკა ასევე ბენეფიციარს, გიტარისტს გივი ბარბაქაძეს, სიმღერას ასრულებს გიორგი მაისურაძე.

მუსიკის ჰანგები ლირიულ განწყობას ქმნის, მსმენელი საზოგადოება ახლის მოლოდინშია, ქალბატონი ლილი და სამი ახალგაზრდა კუთვნილ ადგილს იკავებენ. მუსიკა წყდება და ქალბატონი ლილი იწყებს შესავალ სიტყვას. საზოგადოებას ეცნობება, რომ „კათარზისში“ მოქმედ კლუბ-ბიბლიოთეკასთან იხსნება ლიტერატურულ-მუსიკალური სალონი „საპოვნელა“. შესავალ სიტყვაში ქალბატონი ლილი მიმოიხილავს ქართულ და მსოფლიო ლიტერატურულ და მუსიკალურ მემკვიდრეობას, ამ წარმოდგენას თავიანთი გამოსვლებით ავსებენ ახალგაზრდა მსახიობები თიკო ბენდიანაშვილი, ანრი ღუდუშაური, ნინო დარსაველიძე.

ქალბატონი ლილი აღნიშნავს, რომ საზოგადოება სიყვარულსა და თანადგომის ფუძეზე დგას. თაობათა შორის მყარი კავშირისთვის

აუცილებელია თანაცხოვრების, სიხარულისა და სიძნელების თანაზიარობა.

ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი კულტურა ორგანულ კავშირში იყო თავის ახლო და შორეულ სამეზობლოსთან. ქართულმა ლიტერატურამ და მუსიკამ მეზობლებისგან მნიშვნელოვანი მაცოცხლებელი ძალა მიიღო, ოღონდ ეს ყოველივე მყარ ქართულ ნიადაგზე, ქართული შინაარსის გაჯერებით ხდებოდა, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით წარმოსაჩენია აღმოსავლური ლიტერატურა და მუსიკა – აშუღური შემოქმედება, რომელიც არაბეთიდან წამოსული, სპარსეთის გავლით რომ მოვიდა ქართულ მიწაზე. „აშუღი“ არაბული სიტყვაა და მოტრფიალეს ნიშნავს და გულისხმობს სიმღერისა და სიმებიანი საკრავების უბადლო შემსრულებელს. ჩვენთვის ასე მშობლიური ქართული სიმღერები „თავო ჩემო“, „სულო ბოროტო“

აშუღური შემოქმედების გაქართულებული ნიმუშებია. ადამიანის, საზოგადოების, ერის ცხოვრებაში პოეზია და მუსიკა მტკიცე სალტეა, დულაბია უცხოურისა და ეროვნულის ურთიერთგამამდიდრებელი, წარსულსა თუ აწმყოში. ქართული პოეზია მდიდარია თანადგომისა და სიყვარულის რითმებით. პოეტი კი, თუ

ლაშა გახარიას ლექსს „პოეტი“ მივმართავთ, დავინახავთ, რომ იგი:

„ხან მარტვილია, ხანაც – მესია,
თან წერტილია, თანაც – ანთარი,
პოეტი მაინც, – ერთი ლექსია,
ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“.

სადაც არის პოეტი და პოეზია, იქ უცილობლად არის მუსიკაც, რომელსაც არა მხოლოდ ემოციური, არამედ ფიზიოლოგიური ზემოქმედებაც შეუძლია ადამიანზე. მუსიკა ორჯერ აჩქარებს ადამიანისთვის მესხიერების აღდგენას. მუსიკა ეხმარება ადამიანს დაძლიოს უარყოფითი ემოციები და შეიძინოს ახალი ძალა დადებითი ემოციებისთვის. როგორც ახალგაზრდას, ასევე ჭარმაგს მუსიკა უჩვენებს ცხოვრების ორომტრიალში ჰარმონიისკენ მიმავალ გზას. მაგრამ რა იქნებოდა მუსიკა, თუ მას ჩვენი მშობლიური ქართული ენის გარეშე განვიხილავდით? როგორც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილი II ბრძანებს: „ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი ქართული ენა, ვითარცა გო-

ნება და სიყვარული... მასშია მთელი საქართველო, გაზაფხულზე გაშლილი პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლადმოსული მზის ცხოველმყოფელი სხივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი სანყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი. ძლიერია, როგორც სვეტიცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი“.

პოეზია, მუსიკა, ქართული ენა – ეს ყველაფერი ადამიანს, მოზარდსაც და ზრდასრულსაც, მხოლოდ სიყვარულისთვის ეძლევა. პოეტი ვახტანგ ხარჩილავა ლექსით მართლაც პოეტურად გვანვდის ამას:

„იძრა მიწაში
გაზაფხულის
უკვდავი ფესვი,
უსიყვარულოდ
არ დარჩეს არვინ.
ზამთრის ქვეყნიდან

გადმოვდივარ
აპრილის თვეში
და მზეს – სამყაროს მხურვალე შუბლს
ვემთხვევი კრძალვით“.

ქალბატონ ლილის შესავალი სიტყვის შემდეგ ახალგაზრდა მსახიობებმა ნინო დარსაველიძემ, ანრი ლუდუშაურმა და თიკო ბედიანაშვილმა, რეჟისორ ნიკო ბალაშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით წარმოადგინეს თეატრალური სცენები ჩვენი ქვეყნის უფროსი თაობის განვლილი ცხოვრებიდან. წარმოდგენა ემყარებოდა უფლის მცნებათაგან მეხუთეს: „პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“.

სიყვარულის რაობა და მნიშვნელობა ქართული სიტყვის ჯადოქარმა, დიდმა გალაკტიონმა ასე ყოვლისმომცველად მოგვცა:

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,

სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ...“

უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

პრეზენტაციაზე მცირე მოხსენებით წარსდგა მუსიკოსი თინათინ ლონდარიძე, რომელმაც

ქართულ შემოქმედებაში ისეთი სპეციფიკური მიმართულების შესახებ ისაუბრა, როგორცაა შრომითი სიმღერები. საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა ქართული შრომითი სიმღერები: „ნადური“, „მუშური“, „ელესა“.

სალონის გახსნას მიესალმა პოეტი რამაზ ბერაძე. მან ყურადღება გაამახვილა თაობათა შორის კავშირის უწყვეტობის აუცილებლობაზე. მომავალი აქვს იმ ადამიანს, საზოგადოებასა და ერს, ვისაც შეუძლია თაობათა შორის გულთადაი ურთიერთობების

უწყვეტობის დაცვა. სიტყვის პატივისცემა, საქმის ერთგულება, ამაგის დაფასება – ეს ამ უწყვეტობის საფუძველია. თავის გამოსვლა ბატონმა რამაზმა საკუთარი ლექსის ნაწყვეტით დააგვირგვინა:

„ჩამოინაცრა ეს წელიწადიც,
დრო მაინც მიდის –
გნამდეს არ გნამდეს,
ო, რა ახლოა ციდან მიწამდე
და...“

რა შორია მიწიდან ცამდე“.

„კათარზისში“ დაფუძნებულმა ლიტერატურულ-მუსიკალურმა სალონმა პრეზენტაციის დღესვე მოიპოვა სატონობის სახლის მესვეურთა და ბენეფიციართა მონონება. ამ საინტერესო ინიციატივისადმი ინტერესი გამოხატეს ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმაც. მათი სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ქალბატონმა მარი მალაზონიამ. მან აღნიშნა, რომ ქალბატონ ლილი გორდელაძის ინიციატივამ მშვენიერი დასაწყისი მისცა საბიბლიოთეკო კვირეულს დედაქალაქში. ქალბატონმა მარი მალაზონიამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ამ თაოსნობას და აღნიშნა, რომ ეს არაა მხოლოდ ლიტერატურულ-მუსიკალური კრებული, არამედ არის ადამიანთა გულების სიტბოთა კრებული, შემოქმედებითი ერთობა, ნათელი სხივი ჩვენს ასეთ რთულ ცხოვრებაში.

ლიტერატურულ-მუსიკალური სალონის პრეზენტაცია დაასრულა ქალბატონ მაყვალა ბერძენიშვილის მიერ შესრულებულმა საგალობელმა „უფალო ღმერთო“ – სრულია დ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საგალობელმა; ქალბატონ მაყვალას გამოსვ-



ლით სალონის დამსწრე საზოგადოებას ამაღლებული და იმედიანი განწყობა დაეუფლა.

სალამოს დასასრულს ქალბატონ ლილის მივმართე და ვთხოვე ეთქვა, რას ფიქრობს, რა იქნება „საპოვნელას“ შემდეგი ნაბიჯი? ქალბატონი ლილი ცოტათი შეყოვნდა, შევატყვე, გამხელა არ უნდოდა, მაგრამ მაინც მითხრა: „საპოვნელა“ არა მხოლოდ ლიტერატურულ-მუსიკალური, არამედ სულიერებისა და საზოგადოებრივი ურთიერთთანადგომის ცენტრი გახდება. იმედი მაქვს, შევძლებ კიდევ უფრო საინტერესო ინიციატივების განხორციელებას“.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენს პრობლემებით სავსე ქვეყანაში საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი აქტიურმა და ინიციატივიანმა მოქალაქეებმა, არ შეიძლება პასიური მომლოდინეს პოზიციიდან ელოდონ, თუ როდის მიაპყრობს თავის მონყალე მზერას სახელმწიფო და ხელისუფლება ცხოვრების იმ სფეროებს, რომელიც საზოგადოებასა და ერს

ასერიგად აფიქრებს. ასეთ უსარგებლო ლოდინში მხოლოდ დრო გავა, ფუჭად გავა. ისეთი ნათელი გულის ადამიანების ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება ავალდებულებს მათ, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობით მიუდგნენ საქმეს, იმ საქმეს, რაც ქართული კულტურის დაცვა და პოპულარიზაციაა. ქალბატონი ლილის მართლაც უშრეტი ენერჯია ნამდვილად არის დიდი და ნათელი სხივის დასაბამი ჩვენი ქვეყნის არც თუ ნათელ რეალობაში.

ქალბატონ ლილის თაოსნობით დაფუძნებული ლიტერატურულ-მუსიკალური სალონი „საპოვნელა“ ნაზი და მშვენიერი ყვავილია, მას სილამაზე შეაქვს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, მტკიცე ჯაჭვს კრავს თაობათა შორის, იგი არის იმედი, იმედი თანადგომისა, პატივისცემისა და სიყვარულისა. განათლებული საზოგადოების მხრივ ამ წამოწყებას ყურადღება და თანამშრომლობა ესაჭიროება. ეს მისაბაძი მაგალითია და მას დაფასება ესაჭიროება. ნათელი გულით ნაკეთებ საქმეს ღმერთი შეენევა.

თამარ შოშიაშვილი

ქართველ მსახიობთა გახსენება

რუსთაველის გამზირიდან სათნოების სახლამდე მზემ ისე გამათბო, რომ რომანტიული ფიქრები მომეძალა, გაზაფხულის სურნელი ვიგრძენი. სათნოების სახლში – „კათარზისში“ მისულს, ხანდაზმულთა კლუბის მეურვე, ლიტერატურული სალონის „საპოვნელას“ დამაარსებელი, ბიბლიოთეკის გამგე, სანდომიანი ქალბატონი ლილი გორდელაძე შემომეგება. ბიბლიოთეკა კვლავ ახალ ლიტერატურულ სალამოს სთავაზობდა სათნოების სახლის ბინადართ, საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით; ამჟამად ლიტერატურული სალამოს თემა იყო – „ქართველი მსახიობები დიდ სამამულო ომში“. როგორც ყოველთვის, სალამო გახსნა ქალბატონმა ლილიმ და მკითხველებს აუწყა, რომ შეხვედრას გაუძღვებოდა თეატრ-მცოდნე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი – დავით სოლომნიშვილი.

დავით სოლომნიშვილმა ისაუბრა ქართველ მსახიობთა იმ დიდ ღვაწლზე, რასაც ადგილი ჰქონდა სამამულო ომის მძვინვარე დღეებში. მან მოუთხრო და თანაც თვალსაჩინო მასალაც წარმოუდგინა მსმენელს. მკითხველს შეახსენა არერთი თეატრის თუ კინომსახიობის მოგონებანი ომის დროს განუღებულ შემოქმედებით შრომაზე. ორატორი დიდი

და ღრმა ცოდნით გადასცემდა მსმენელს საშეფო-საკონცერტო ბრიგადების შესახებ, რომლებიც 1941–1945 წლების ქარცეცხლიან დღეებში ჩამოყალიბდა. ბატონმა დავითმა უამრავი მოგონება გააცოცხლა ქართველ მსახიობთა მემუარებიდან. იგი გატაცებით ყვებოდა ვერიკო ანჯაფარიძის, თამარ



მაცვალა ბერძენიშვილი

ჭავჭავაძის, სესილია თაყაიშვილის, ცეცილია წუნუნაძის, აკაკი ხორავას და მრავალი სხვა მსახიობის შესახებ. აი, რას მოგვითხრობს სესილია თაყაიშვილი დაჭრილ მეზრძოლებთან შეხვედრის შესახებ: „დაჭრილ მეზრძოლებთან გამოსვლა ჩემთვის ძალიან რთული იყო, ხშირად ისინი ჩემს იუმორს არ ღებულობდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ფიქრობდნენ ხვალინდელ დღეზე, სიცოცხლის შენარჩუნებაზე“. კიდევ უფრო მტკივნეული იყო ისეთ დაჭრილებთან შეხვედრა, რომელთა გადარჩენის შანსიც მინიმუმამდე იყო დასული. აი, რას წერდა მომღერალი მერი შილდელი: „ერთ-

ერთ ჰოსპიტალში დაჭრილი მებრძოლებისთვის ვიმიღერე ქართულად „იავნანა“. მებრძოლ ასტახოვს ორივე კიდური მოჭრილი ჰქონდა. მას პირველს წამოსცდა სიმღერის შემდეგ ადამიანური სიტყვა „მადლობა“. ლიტერატურული სალამო ანშლაგით მიდიოდა“.

მომხსენებელი და მსმენელი ერთ მუშტად შეიკვრნენ და წასვლას აღარავინ ფიქრობდა; ალბათ ამიტომაც იყო, რომ სალამო თითქმის სამ საათს გაგრძელდა. ორატორიც და მსმენელიც იგონებდნენ თეატრის, კინოს და ესტრადის ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო გოძიაშვილი, ალექსანდრე კირკიტაძე, მუდამ ხალისიანი

ვალერიან გაგნიძე და შალვა ჩხიკვაძე, სტეფანე ჯაფარიძე. გიორგი სალარაძე. გაიხსენეს განუმეორებელი დები იშხნელები, ემანუილ აფხაიძე და ვინ მოსთვლის კიდევ მათ, რომლებიც ოქროს ასოებით შევიდნენ სამამულო ომის ისტორიაში. სალამო კიდევ უფრო ლამაზი და შინაარსიანი გახდა ომის მონაწილეთა მოგონებებით. სალამოს მსვლელობისას აქა-იქ შინმოუსვლელთა ბარათებიც ჩაენაცვლა, რომელსაც ქალბატონი ლილი კითხულობდა. იყო დამსწრეთა შეკითხვებიც და გამოსვლებიც. ყველაფერ ამას დიდი ინტერესით ისმენდნენ ახალგაზრდები, რომლებიც არც თუ ისე ცოტანი იყვნენ დამსწრეთა შორის.

გულიკო ენუქიძე

თბილისის ლ. ასათიანის სახ. საბავშვო

ბიბლიოთეკის მთ. ბიბლიოთეკარი

საინტერესო უხვადრების კლუბი

ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის ლ. ასათიანის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკაში 2010 წლის დეკემბერში თანაშემრომელთათვის დაფუძნდა



კლუბი – დიალოგი „ია“, რომელსაც ხელმძღვანელობს საბიბლიოთეკო დარგის ამაგდარი ქალბატონი ინგა არგუტინსკაია.

კლუბის ფორმატი ითვალისწინებს კვარტალში ერთხელ შეკრებებს. ინფორმაციის მოზღვავებულ საუკუნეში აუცილებელი გახდა ასეთი შეხვედრები, რათა შევიტყოთ, რომ მსოფლიო საბიბლიოთეკო სფეროში კვლავ არსებობს ურთულესი პროგრამები, რომელზედაც სპეციალისტები მუშაობენ და რეკომენდაციებს იძლევიან.

პირველი შეკრება ჩატარდა მარტის თვეში და მიეძღვნა საქართველოს ბიბლიოთეკარის პრო-

ფესიული ეთიკის კოდექსის პროექტის განხილვას. ბიბლიოთეკარები ეთანხმებიან პროექტის ყველა თავს, რომ ბიბლიოთეკაში მოსული მკითხველი უნდა გრძნობდეს ბიბლიოთეკარის პროფესიულ-ინტელექტუალურ დონეს და მათდამი გულთბილ დამოკიდებულებას.

შემდეგ საკითხად ბიბლიოთეკის მთ. ბიბლიოთეკარმა ნ. ჯაფარიძემ წარმოადგინა უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი დამსურათებლის, ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები. ასევე გაგვაცნო ქართველი მეცენატი გიორგი ქართველიშვილი (1830–1901), რომელმაც დააფინანსა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული, სტამბური გამოცემა. მისი სიტყვებია: „მე გადავწყვიტე გავილო მაგისტრის ფული, ოღონდ ღირსეულად გამოეცით

ეგ მართლაც მარგალიტი ობოლი“.

ქართველმა ხალხმა გულით შეიყვარა ზიჩი-





სეული ილუსტრაციები. „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი დღესაც ინტერესით აკვირდება თითოეულ ილუსტრაციაზე ლამაზი ქართული ასოებით გამოყვანილ მხატვრის გვარს „ზიჩი“.

ამავე შეკრებაზე გადამყვანა მოგვეჩვენა „ვეფხისტყაოსნის“ დარბაზობა, რომელიც ჩატარდა მაისის თვეში და ერთ-ერთი ულამაზესი ფურცელი შესძინა ბიბლიოთეკის შემოქმედებით საქმიანობას.

კლუბი – დიალოგის მორიგ შეკრებაზე ივნისის თვეში ვისაუბრეთ ჩატარებულ სამუშაოთა ირგვლივ, წარმოვადგინეთ საინფორმაციო

ფოტო-გამოფენა – „ჩვენი დაიჯესტი“ – ჩატარებულ ღონისძიებათა ფოტო-მასალა. აქვე გადავწყვიტეთ საინფორმაციო ფურცლების ნაირსახეობათა გამოყენება.

კლუბის ერთ-ერთი რუბრიკაა „ჩვენი სტუმარი“ და ამ დღეს კლუბ-დიალოგს სტუმრობდა საბიბლიოთეკო საქმის ცნობილი მოღვაწე, მკვლევარ-მეთოდისტი გურამ თაყნიაშვილი, ბატონი გურამი გვესაუბრა სისტემაში არსებულ სიახლეებზე.

კლუბის მუშაობა გააღამაზა ბიბლიოთეკის თანამშრომლის, ლ. აფციაურის მიერ წარმოდგენილმა ბატონი გურამის ლექსთა კრებული „განწმენდისაკენ, განწმენდისაკენ“ მიმოხილვამ.

პოეზიის მოყვარულმა ბიბლიოთეკარებმა წაიკითხეს მისი ლექსები და მადლობა გადაუხადეს იმ სიამოვნებისთვის, რაც წიგნმა მოგვანიჭა.

კლუბი-დიალოგის სურვილია, შემდგომში კლუბში ჩვენ გვერდით ვიხილოთ ჩვენი კოლეგები – ქალაქში ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკარები. გაიმართება დებატები, ვისაუბრებთ, გავუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას და დავსახავთ ახლებურად მუშაობის გზებს.

მანანა საგანელიძე ნუნუ ჭიქელიძე

მისაბაძი მკითხველები

ის, ვინც ბიბლიოთეკაში 20-30 წელი მუშაობს, დაგვეთანხმება, რომ ამ ხნის მანძილზე ბიბლიოთეკარი გამორჩევით უახლოვდება იმ მკითხველებს, რომლებიც წლების მანძილზე მოდიან ბიბლიოთეკაში. მკითხველთა ასეთი კატეგორია ახლოს იცნობს ბიბლიოთეკარის შრომას, ესწრება მასობრივ ღონისძიებებს, ერთი სიტყვით, იგი ხდება ბიბლიოთეკის ცხოვრების მონაწილე. თბილისის 31-ე საქალაქო ბიბლიოთეკის სინამდვილეში ასეთი გახლავთ პედაგოგი ელმირა პატარიძე, რომელიც 20 წელია ჩვენი ბიბლიოთეკით სარგებლობს, მხარში გვიდგას, მონაწილეობს საბიბლიოთეკო ღონისძიებებში. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება მიქაძენა გიორგი ლეონიძის საიუბილეო თარიღს. ლიტერატურულ საღამოზე ე. პატარიძის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო კოლაჟი გ. ლეონიძის შემოქმედებიდან. ქალ-

ბატონ ელმირას კონსულტაციითა და რჩევით ბევრი მისი მოწაფე გახდა ჩვენი ბიბლიოთე-



კის აქტიური მკითხველი. თვითონ პედაგოგი ე. პატარიძე მადლიერების გრძნობით წერს ზემოაღნიშნული ბიბლიოთეკის შესახებ: „ჩვე-

ნი ურთიერთობა მეგობრობაშია გადაზრდილი, ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის 20 წლის მანძილზე, ბიბლიოთეკა ყოველთვის მხარში მედგა; სისტემატურად ვსარგებლობდი მისი წიგნობრივი ფონდით, ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი მომსახურების ხარისხით; აქ მომუშავე ბიბლიოთეკარები გამოირჩევიან ზრდილობით, პედაგოგიური ტაქტით, გულისხმიერებითა და მაღალი პროფესიონალიზმით: გიორგი ლეონიძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლეთა ინიციატივით მოვამზადეთ სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციაც თემაზე „გიორგი ლეონიძის შემოქმედების როლი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეში“. კონფერენციას დაესწრო მოსწავლე-ახალგაზრდობა ვაკე-საბურთალოს რაიონის სკოლებიდან, პედაგოგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. კონფერენციას ესწრებოდნენ თამაზ ჩხენკელი და პოეტი ბესიკ ხარანაული. მათ ისაუბრეს გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდებზე, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ დიდი პოეტი ყოველ-

თვის გულისხმიერებით ეკიდებოდა დამწყები შემოქმედის საკითხს, აქებდა და მათ, ხელს უწყობდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაში?

ელმირა პატარიძეს კარგად ესმის ბიბლიოთეკის როლი და დანიშნულება თანამედროვე ინფორმაციის გარემოში. მისი აზრით, მოსწავლეებმა თავისუფალი დრო სწორედ წიგნის კითხვას უნდა მოანდომონ; ამ მხრივ გ. ლეონიძის სახ. საქალაქო ბიბლიოთეკის კოლექტივი ყოველთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის; აქ მოსული მკითხველი თავიდანვე ექცევა წიგნიერ გარემოში, მათ ყურადღებას არ აკლებენ პროფესიონალი ბიბლიოთეკარები, რომელთა ღვაწლი თითქმის არ ჩანს, მაგრამ ის, ვინც ამ დანესებულებაში სისტემატურად დადის, კარგად იცის აქ მომუშავე პერსონალის საქმიანობის არსი, დანიშნულება, იმ ღვაწლის მნიშვნელობა, რომელიც მათ შეაქვთ ახალგაზრდობის ინტელექტუალური აღზრდის საქმეში.

რედაქციის შენიშვნა: აღნიშნული ბიბლიოთეკა ამჟამად გაუქმებულია. საფუძველი არაა ცნობილი.

იუბილე

ვაჟა-ფშაველა – 150

მანია მიძაპერიძე

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა უცხოენოვანი გამოცემები

წერილი მე-2.


ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები პოეტის სიცოცხლეშივე ითარგმნა რამდენიმე ევროპულ ენაზე. თუმცა ეს ნაწარმოებები იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში. ცალკე უცხოენოვანი გამოცემები არც მის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალებიდან ორი ათეული წლის განმავლობაში არ განხორციელებულა, 40-იან და 50-იან წლებში დაიბეჭდა რამდენიმე თხზულება, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, რომ ევროპულ მკითხველს გაეცნო ვაჟა-ფშაველა, როგორც მოაზროვნე და ხელოვანი. მსოფლიოსათვის ვაჟა-ფშაველა მაინც უცნობი შემოქმედი იყო.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა უცხოენოვანი თარგმანების გამოცემის პროცესი გააქტიურდა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. როდესაც აღინიშნა პოეტის დაბადების 100 წლისთავი. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 1961 წელი გამოცხადდა ვაჟა-ფშაველას წლად. ქართველი პოეტის ნაწარმოებები ითარგმნა და დაიბეჭდა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, რუმინულ და პოლონურ,

ასევე საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

ინგლისურ ენაზე


1919 წელს თბილისში გამომავალ ინგლისურენოვან ჟურნალ „The Georgian Messenger“-ის № 8-10 ნომრებში გამოქვეყნდა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, რომელიც თარგმნა ელისაბედ ორბელიანმა. ეს იყო ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების შემდეგ მისი ნაწარმოებების ყველაზე პირველი თარგმანი ევროპულ, კერძოდ კი, ინგლისურ ენაზე. მომდევნო სამი ათწლეულის განმავლობაში ამ მიმართულებით აღარაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით 1958 წელს თბილისში გამოცემულ წიგნს „Antjology of Georgian Poetry“ („ქართული პოეზიის ანთოლოგია“), რომელშიც შევიდა ვენერა ურუშაძის მიერ ინგლისურად თარგმნილი ვაჟა-ფშაველას 11 პოეტური ნაწარმოები: „ქეიფი“, „მწყემსი ქალი“, „სიტყვა-ეული“, „სიმღერა“ („გამოღმით მე ვარ...“), „არწივი“, „უწუგემო ყოფნა“, „სიმღერა“ („დღესნამდე დაბლა ჰყვოდა...“), „ელეგია“, „ჩივილი ხმლისა“, „ფშაველი ჯარისკაცის



წერილი დედას“, „გველის მჭამელი“.

1964 წელს გამოცემილია „ცოდნამ“ ინგლისურ ენაზე გამოსცა ნიგნი „Georgian Stories“. მასში შევიდა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, რომელიც თარგმნა ელენე კობიაშვილმა. ეს არის ნიგნი დამოუკიდებელი კითხვისათვის ინგლისურ ენაში, რომელშიც ტექსტი დაბეჭდილია პარალელურად ქართულ და ინგლისურ ენებზე და წარმოადგენს ბავშვებისათვის დამხმარე სასწავლო მასალას ინგლისურ ენის შესასწავლად.

1972 წელს თბილისში გამოცემილია „განათლებამ“ გამოსცა ვაჟა-ფშაველას მოთხრობების კრებული სახელწოდებით „The lofty



mountains“ („მთის წყარო“). მასში შევიდა ექვსი ნაწარმოები: „ხმელი ნიფელი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „სათაგური“, „ია“, „ამოდის, ნათდება“, „მთანი მალაღნი“ (მთარგმნელები: ირინა პეტროვა და ლეილა გამსახურდია).

მნიშვნელოვანი გამოცემა განხორციელდა 1981 წელს, როცა გამოცემილია „განათლებამ“ გამოსცა ვაჟა-ფშაველას პოემების კრებული სათაურით *Three poems* (სამი პოემა). მასში შევიდა ინგლისელი ქართველოლოგის დონალდ რეიფილდის მიერ თარგმნილი პოემები „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“ და „გველის მჭამელი“. ნიგნი გაფორმებულია მხატვარ ლევან ცუცქერიძის მიერ შესრულებული ილუსტრაციებით. ორი წლის შემდეგ, 1983 წელს დონალდ რეიფილდის მიერ თარგმნილი „ალუდა ქეთელაური“ შევიდა აგრეთვე ლონდონში გამოცემულ კრებულში „Modern Poetry in Translation“ (თანამედროვე პოეზია თარგმანში).

თან.

მეორე მსოფლიო ომმა, როგორც ჩანს, შეაფერხა გერმანულად თარგმნისა და გამოცემის პროცესი, თუმცა, ომის დამთავრებისთანავე გაძლიერდა ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი, ზოგადად ქართული კულტურისადმი მიმოხილვითი ხასიათის წერილების გარდა, დაიბეჭდა ქართული მხატვრული ნაწარმოებების თარგმანებიც, მათ შორის ვაჟა-ფშაველას თხზულებებიც.

1946 წელს ავსტრიელმა პროფესორმა რობერტ ბლანშტაინმა ვენაში გამოსცა კრებული „Neue Georgische Dichten“ (თანამედროვე ქართველი პოეტები), რომელშიც შევიდა მისივე თარგმნილი პოემა „ალუდა ქეთელაური“.

1955 წელს მიუნხენში დაიბეჭდა ა. მეტრეველის მიერ თარგმნილი „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

1958 წელს კიტა ჩხენკელმა ციურისში ორ ტომად გამოსცა ქართული ენის სახელმძღვანელო „Führung in die Georgische Sprache“ (შესავალი ქართულ ენაში). მეორე ტომში მოთავსებულია სავარჯიშო მასალა და ქართული ლიტერატურის ნიმუშები თავისი თარგმანებითურთ. სწორედ ამ ტომში შევიდა ვაჟა-ფშაველას ოთხი ნაწარმოები – „ქორი და წინილა“, „არწივი“, „მთის წყარო“ და „ამოდის, ნათდება!“.

1970 წელს რაინერ კირშიმ თარგმნა „ალუდა ქეთელაური“ და გამოაქვეყნა ჟურნალში „Sinn and Form“.

ეს ნაწარმოები შემდეგ შევიდა 1974 წელს გერმანულ ენაზე გამოცემულ კრებულში „Georgische Poesie aus acht Jahrhunderten“ (ქართული პოეზიის ანთოლოგია რვა საუკუნის მანძილზე).

ა. ლაისტის შემდეგ რაინერ კირში



პირველი თანამედროვე გერმანელი მთარგმნელი და პოეტია, რომელმაც ვაჟა თარგმნა და პირველმა დაწერა ნაშრომი ვაჟას პოეზიის შესახებ.

1974 წლის მაის-ივნისში გერმანიაში, მაშინ-

გერმანულ ენაზე

გერმანულენოვანი მკითხველი ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყაროს პირველად არტურ ლაისტის საშუალებით გაეცნო, მაგრამ ეს იყო უმნიშვნელო შეხება პოეტის შემოქმედებას-



დელ გფრ-ში, ქართული კულტურის დღეებთან დაკავშირებით გამოვიდა სპეციალური ჟურნალი, რომელშიც დაიბეჭდა ნელი ამაშუკელის მიერ თარგმნილი ფრაგმენტი პოემისა „გველის მჭამელი“. იმავე წელს გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა კრებული სათაურით „Bergquelle“ (მთის წყარო) რომელშიც შევიდა ვაჟა-ფშაველას შვიდი მოთხრობა: „შვლის ნუკრის ნამბობი“, „მთანი მალაღნი“, „მთის წყარო“, „ფესვები“, „ამოდის, ნათდება“, „ია“ და „არწივი“, მოთხრობები თარგმნეს ლუცია ქურდიანმა, ევგენია და ირინა სუნიუკებმა.

ამ გამოცემათა შემდეგ სამი ათეული წლის განმავლობაში ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები გერმანულ ენაზე აღარ გამოცემულა. ყველაზე ბოლო გამოცემა – „Die Hochzeit der Fichelhaher“. („ჩხიკვთა ქორწილი“) გამოვიდა 2003 წელს თბილისში (გამომცემლობა „ქრონოგრაფი“). მოთხრობა თარგმნეს ლამარა ნაროუშვილმა და სერგო ოქროპირიძემ. ილუსტრაციები ეკუთვნის ფიქრია ნაროუშვილს. ტექსტი დაბეჭდილია პარალელურად ქართულ და გერმანულ ენებზე და განკუთვანილია ბავშვებისათვის დამხმარე მასალად გერმანული ენის შესწავლისათვის.

ფრანგულ ენაზე ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ფრანგულენოვანი თარგმანები თავდაპირველად დაიბეჭდა პარიზში გამოშვალ ემიგრანტულ ჟურნალში „ბედი ქართლის“, 1961 წლის № XI-XII-ში „მთის წყარო“ (მთარგმნელი რენე ლაფონი), ხოლო 1974 წელს – პოემა „გოგოთურ და აფშინა“, რომელიც თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ.

1976 წელს თბილისში გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა მოთხრობების კრებული „ბუნების მგოსნები, მოთხრობები“, რომელშიც შევიდა ვაჟა-ფშაველას 14 ნაწარმოები: „მთის

წყარო“, „ია“, „ფესვები“, „ხმელი ნიფელი“, „მთანი მალაღნი“, „ქუჩი“, „სვავი“, „ამოდის, ნათდება“, „შვლის ნუკრის ნამბობი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „მტრედები“, „ქუდოვანი“, „სათაგური“, „ბუნების მგოსნები“, მოთხრობები თარგმნეს ნ. ქადეიშვილმა და ნ. კალატოზიშვილმა.



ვაჟა-ფშაველას შვიდი პოეტური ნაწარმოები შევიდა 1979 წელს თბილისში „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ კრებულში „Anthologie des classques de la poesie Georgienne“ (ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია). ლექსების თარგმანი ეკუთვნის ტატიანა ავალიანს.

იტალიურ ენაზე

1996 წელს იტალიაში, ქალაქ უდინეზეში იტალიელმა ქართველოლოგმა ლუიჯი მაგაროტომ გამოსცა წიგნი „ვაჟა-ფშაველა“, „გველის მჭამელი“ და სხვა პოემები („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“), მთარგმნელებია: ლუიჯი მაგაროტო, ჯანრობერტო სკარჩია. წიგნს ერთვის ლ. მაგაროტოს წინათქმა, რომელშიც იგი ვრცლად საუბრობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრებასა და მითოლოგიაზე, ვაჟა-ფშაველას პოეზიასა და მის კავშირზე ქართულ ფოლკლორთან. ამ წიგნის გარდა, ფაქტობრივად, იტალიურ ენაზე არ არსებობს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა სხვა გამოცემა.

რუმინულ ენაზე

რუმინულ ენაზე ბუქარესტში ორჯერ გამოიცა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები. 1982 წელს დაიბეჭდა კრებული „ბუნების მგოსნები, მოთხრობები“, რომელშიც შევიდა ზაირა სამხარაძისა და კირა იორგოვეანუს თარგმანები. წიგნი მომზადებულია თბილისის 1979 წლის „ნაკადულის“ გამოცემის მიხედვით. 1993 წელს ასევე ბუქარესტში გამოიცა წიგნი სახელწოდებით „მთის წყარო“.



პოლონურ ენაზე

1961 წელს ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოცემული „ქართული პოეზიის ანთოლოგია“, რომელშიც შევიდა ვაჟა-ფშაველას შვიდი პოეტური ნაწარმოები: „ხევზედ მოდიან ნისლეები“, „ჩივილი ხმლისა“, „ანდერძი“ (მთარგ. ს. ვოიტკევიჩი), „ფშაველის სიმღერა“ (ჯ. ლიტვინიუკი), „მთა და ბარი“ (მთარგ. ჯ. ზაგორსკი), „დაჭრილი ვეფხვი“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ (მთარგ. ლ. ლევინი).

როგორც აღვნიშნეთ, 1961 წელი გამოცხადდა ვაჟა-ფშაველას წლად, ქართველი პოეტის მსოფლიო მასშტაბით აღიარებას, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირშიც მოჰყვა შესაბამისი ღონისძიებები. დაბადებიდან 100 წლისთავი აღინიშნა პრაქტიკულად ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. რუსულის გარდა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე: აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, უკრაინულ, ბელორუსულ, ყაზახურ, თურქმენულ, ტაჯიკურ, თათრულ და უდმურტულ ენებზე. საიუბილეო წელს და მომდევნო წლებშიც ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები უმეტესად ქვეყნდებოდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემასა და კრებულებში. მხოლოდ რამდენიმე ენაზე გამოიცა ცალკე წიგნად.

აფხაზურ და ოსურ ენებზე

1982 წელს სოხუმის გამომცემლობა „ალაშა-რამ“ გამოსცა ვაჟა-ფშაველას მოთხრობების კრებული, მოთხრობები თარგმნა მ. ხაშბამ. 1961 წელს ქალაქ ცხინვალში, რომელსაც იმ პერიოდში ეწოდებოდა „სტალინირი“, ოსურ ენაზე გამოიცა ვაჟა-ფშაველას „რჩეული“, მასში შევიდა პოეტის რჩეული ლექსები, მოთხრობები და პოემები (მთარგმნელი მ. ნართიხთი). ასევე ოსურ ენაზე 1986 წელს ცხინვალში გამოიცა „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

სომხურ ენაზე

ვაჟა-ფშაველას ცალკეული ნაწარმოებები

სომხურ ენაზე პოეტის სიცოცხლეშივე ითარგმნა და დაიბეჭდა. მომდევნო ათწლეულებში ამ ენაზე მრავალი ნაწარმოების თარგმნა განხორციელდა, რომლებიც იბეჭდებოდა სომხურ პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში. მხოლოდ პოეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ფარგლებში გამოიცა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები ცალკე წიგნებად – 1961 წელს ერევანში დაიბეჭდა ვ. გრიგორიანის მიერ სომხურად თარგმნილი პოემა „ბახტრიონი“, ხოლო მომდევნო, 1962 წელს გამოიცა მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, რომელიც თარგმნა ა. გუკასიანმა.

უკრაინულ ენაზე


ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების პირველი უკრაინული გამოცემა შედგა 1963 წელს, როცა კიევში გამოვიდა „უძლური ვირი“ (მთარგმნელი გ. ნამორაძე). ოთხი წლის შემდეგ, 1967 წელს, კიევში 30000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობების კრებული სახელწოდებით „მელია-კუდაგრძელია“ (მთარგმნელი გ. ხალიმოვენკო),

მნიშვნელოვანი გამოცემა განხორციელდა 1968 წელს, როცა კიევში გამოვიდა ანდრეი მალიშკოს მიერ უკრაინულად თარგმნილი ვაჟა-ფშაველას ლექსების კრებული „Лірика“. მასში შევიდა პოეტის ოთხმოცდაათი ლექსი, მისი თითქმის ყველა ლირიკული შედევრი, რამაც უკრაინულ მკითხველს საშუალება მისცა უფრო ვრცლად გასცნობოდა ქართველი პოეტის შემოქმედებას. თარგმანი შესრულდა პნკარედიდან, რამაც გარკვეული ზეგავლენა იქონია თარგმანზე.

გამოცემა კარგ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული და დაიბეჭდა 5000-იანი ტირაჟით.

ყაზახურ ენაზე

ყაზახურ ენაზე ვაჟა-ფშაველას ლექსების თარგმანი განხორციელდა ა. ნისალინმა. ეს ლექსები 1971 წელს ალმა-ატაში გამოიცა სერიით „დიდი პოეტების ბიბლიოთეკა“.



VAZHA
PSHAVELA

Three
poems

ვაჟა
ფშაველა

სამე
პოემა

მანანა ანდრიაშვილი

თბილისის ლ. ასათიანის სახელობის

საბავშვო ბიბლიოთეკის მთ. ბიბლიოთეკარი

ქართული მუსიკის გენია

ზაქარია ფალიაშვილი - 140

ზაქარია ფალიაშვილი ქართული მუსიკის პირველი კლასიკოსია. მან კაცობრიობას გააცნო ქართველების მიერ საუკუნეების განმალგობაში შექმნილი და სასოებით დაცული მელოდიური სიმდიდრე, თითქოს ჯადოსნურ სარკეში ჩაახედა კაცობრიობა და გადაუშალა ქართველი ხალხის შინაგანი სამყარო.

ხალხური შემოქმედებით საზრდოობდნენ ქართველი კომპოზიტორები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ კლასიკურ მუსიკას.

პირველი კომპოზიტორი, რომელმაც შეჰბედა გამონვევა ქართულ ხალხურ მუსიკას, იყო ზაქარია ფალიაშვილი. ამ ჰანგების ბუნებასთან იგი იშვიათ ჰარმონიაში აღმოჩნდა.

ფალიაშვილის წინაპრები მესხეთ-ჯავახეთიდან იყვნენ. მე-16 საუკუნეში ქართველთა ნაწილმა თავის გადარჩენის მიზნით კათოლიკობა მიიღო და ვატიკანის მფარველობის ქვეშ მოექცა. მათ შორის ფალიაშვილის წინაპრებიც იყვნენ. შემდგომ ისინი ქუთაისში დასახლდნენ.

სწორედ აქ, ქუთაისში, კათოლიკეთა უბანში პატარა ფიცრულ სახლში 1871 წლის 4 აგვისტოს დაიბადა ზაქარია ფალიაშვილი. მამამისი, პეტრე კათოლიკური ეკლესიის მნათე იყო. ცოლ-ქმარს თვრამეტი შვილი შეეძინათ. ამათგან შვიდი ბავშვობაში გარდაიცვალა. ბავშვები განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდნენ. ზაქარიას უფროსი ძმა ივანე, შემდგომში ცნობილი დირიჟორი გახდა. ოჯახი დიდ დროს ატარებდა კათოლიკურ ეკლესიაში. უსმენდნენ საეკლესიო ორლანის ნაზ ხმას და მათი მუსიკალური სმენაც ვითარდებოდა. 13 წლის ივანე ორლანზე უკრავდა, ხოლო 8 წლის ზაქარია

გუნდში მღეროდა. ცნობილი მუსიკოსი ფელიქს მიზანდარი უსასყიდლოდ ასწავლიდა ძმებს ფორტეპიანოზე დაკვრას.

თბილისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლმა ა. ხითარიშვილმა ნიჭიერი ძმები თბილისში ჩამოიყვანა. შემდეგ მთელი ოჯახიც გადმოსახლდა. ძმები, ცნობილი ლოტბარის,

ლადო აღნიაშვილის გუნდში მღეროდნენ. აქ ეზიარა ფალიაშვილი ხალხურ შემოქმედებას, რომლის სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია.

1895 წელს ზ. ფალიაშვილი ჩაირიცხა სამუსიკო სასწავლებელში ვალტორნის და მუსიკის თეორიის კლასში და იგი 1899 წლის პირველი ხარისხის ატესტატით დაასრულა. მას უკვე შექმნილი ჰქონდა პატარა საფორტეპიანო პიესები. იმ ხანად, თბილისში კონსერვატორია არ იყო. ზაქარიას გულით სურდა სწავლა მოსკოვის კონსერვატორიაში გაეგრძელებინა და გააგზავნა წერილი-თხოვნა. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, ხოლო თბილისის სათავადაზნაურო საკრებულომ დაუნიშნა სტიპენდია. სწავ-

ლის პერიოდში ფალიაშვილმა მოსკოვში თავი მოუყარა ქართველ სტუდენტებს, ჩამოაყალიბა გუნდი და აწყობდა კონცერტებს, რომლებსაც „ქართული საღამოები“ ერქვა.

სწავლის პერიოდში ზაქარია გაეცნო რუსი და მსოფლიო კლასიკოსების შემოქმედებას. მან რამდენიმე სქელტანიანი რვეული გაავსო თავისი ნაწარმოებებით. სწავლის პერიოდშივე დაქორწინდა, მისი მეუღლეც მუსიკოსი იყო. 1903 წელს ისინი ერთად დაბრუნდნენ საქართველოში.

ცოლ-ქმარმა პედაგოგიური მოღვაწეობა



დაიწყო მუს. სასწავლებელში. პარალელურად, ფალიაშვილი შეუდგა ქართული ხალხური მუსიკის შეგროვებას. იგი ასე წერს; „7 წლის განმავლობაში მოვიარე მთელი საქართველო, მრავალ სიმღერას გავეცანი და ჩავინერე, დავრწმუნდი, რომ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერას საერთო ფუძე აქვს“. ფალიაშვილმა შეაგროვა 250 ხალხური სიმღერა და დაგვიტოვა მათი სანოტო ჩანაწერები. იგი აღნიშნავდა, რომ „ხალხური სიმღერები მივიწყებულია და მის ნაცვლად იაფფასიანი მელოდიები გავრცელებული“.

ხალხური სიმღერების შესწავლამ ნიადაგი მოამზადა, რომ ზ. ფალიაშვილი მონუმენტური ნაწარმოების ოპერის შექმნას შესდგომიდა. თავისი პირველი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ შექმნისას მან მიმართა ქართული ზეპირსიტყვიერების შესანიშნავ ნიმუშს – ლეგენდას „ეთერიანი“ და ვაჟა-ფშაველას პოემას „ეთერი“. ლიბრეტო პეტრე მირიანაშვილმა დაუწერა. ოპერის ცალკეული ნომრები 1913 წელს შესრულდა.

1915 წელს ფალიაშვილს დიდი უბედურება დაატყდა – გარდაეცვალა ერთადერთი უნიჭიერესი შვილი ირაკლი. შვილის სიკვდილის შემდეგ ფალიაშვილი გულჩათხრობილი გახდა. „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურას დაანერა: „ძეგლად დედისერთა ყრმის – ირაკლის უმანკო სულისა, მამამისის, ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილისაგან“.

ზაქარია თანდათან სძლევს დარდს და განაგრძობს ოპერაზე მუშაობას. 1917 წელს, სამუსიკო სასწავლებელი კონსერვატორიად გადაკეთდა და იგი მის რექტორად დაინიშნა. ამავე წელს დაასრულა ოპერაზე მუშაობა.

ოპერა დაიდგა 1919 წელს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. ეს დღე ითვლება ქართული მუსიკის ეროვნულ ზეიმად. პრემიერას დიდი წარმატება ხვდა წილად. თავდაპირველად ოპერა ხუთმოქმედებიანი იყო, ხოლო შემდეგ ოთხ მოქმედებიანად გადააკეთა. მთავარ როლს ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა. პრემიერის შემდეგ კოტე მარჯანიშვილი ასე წერს:

„დიდი დღესასწაულია!

დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა!

დღესასწაული კულტურის გამარჯვებისა!

სარკმელია ევროპისაკენ!“

თვით კომპოზიტორი კი თავმდაბლად აღნიშნავს: „გთხოვთ, ნუ შემაქებთ, განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, მხოლოდ ხალხის მიერ შექმნილი სიმღერები შევუხამე ერთმანეთს. ჩემი მუშაობის აზრით, მე ვიძლევი მასალას, ვკრებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ, ალბათ გამოჩნდება ვინმე უფრო ნიჭიერი და ოპერას დაწერს“.

პირველი ოპერის წარმატებამ შთააგონა კომპოზიტორი, შეექმნა მეორე ოპერა. 1920 წელს მან დაიწყო თავისი მეორე ოპერა „დაისი“ მუშაობა, რომელიც 1923 წელს დაასრულა. თავდაპირველად მას ერქვა „ღამის თავზედ, ანუ ორთა მიჯნური“, ხოლო შემდეგ „დაისი“ უწოდა. აქ მან იგულისხმა საქართველოს დამოუკიდებლობის დაისი. ოპერა აგებულია სიყვარულის მარტივ ქარგაზე, უხვადაა სახალხო სცენები და საკონცერტო ნომრები, ხოლო ოპერის უვერტიურა ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოებია. მის შესახებ მარი ბროსემ ასე თქვა: „დაისის“ უვერტიურის გარდა, ზაქარია ფალიაშვილს სხვა რომ არაფერი დაეწერა, იგი მარტო ამ ნაწარმოებით უკვდავყოფდა თავის ქვეყანას და ხალხსო“.

შემდგომ ფალიაშვილმა ს.

შანშიაშვილის პიესის „ლატავრას“ მიხედვით შექმნა კიდევ ერთი ოპერა „ლატავრა“, რომლის პრემიერა 1928 წელს შედგა. ეს ოპერა არ გახდა ისეთი პოპულარული, როგორც მისი წინამორბედები, თუმცა ცალკეული ნომრები ხშირად ისმის საკონცერტო შესრულებით.

ფალიაშვილი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, მისი მოწაფეები იყვნენ შ. მშველიძე, ან. ბალანჩივაძე, ო. თაქთაქიშვილი. მისი ოპერები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიდგა. ცხოვრებაში კომპოზიტორს უამრავი უსიამოვნება შეხვდა, მაგრამ ამან სულიერად არ გატეხა იგი.

სიცოცხლის ბოლოს იგი გარემოცული იყო ხალხის სიყვარულით, მისი ოპერები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1931 წელს მეთავე დაიდგა ოპერა „დაისი“. მაგრამ მას კომპოზიტორი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო. 1933 წელს ავადმყოფობა გაურთულდა. ძმამ, ივანემ,



იგი ლენინგრადში წაიყვანა სამკურნალოდ, მაგრამ ექიმებმა სიმსივნის დიაგნოზი დაუდგინეს და მათივე რჩევით ის სასწრაფოდ უკან საქართველოში დააბრუნეს. 1933 წლის ოქტომბერში ფალიაშვილი გარდაიცვალა „გლოვის ზარივით გაისმა ეს ცნობა. დასაფლავებას ზღვა ხალხი დაესწრო, კონსერვატორიიდან ოპერის ბალამდე ხელით მიასვენეს. მას მიაცილებდა სამგლოვიარო მუსიკის შედეგები მისი ოპერებიდან“.

ფალიაშვილი დაკრძალეს ოპერის ბაღში ვანო სარაჯიშვილის გვერდით. თბილისის ოპერის თეატრს მისი სახელი მიენიჭა.

ფალიაშვილმა, მართლაც, უკვდავი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისმა ოპერებმა დროს გაუძლო და დაამტკიცა, რომ ისინი იჟღერებენ საუკუნეების შემდეგაც.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში უხვადაა ლიტერატურა ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ:

1. ა. ნულუკიძე – ზაქარია ფალიაშვილი.
2. ი. ვარლამიშვილი, ლ. ნუცუბიძე – ზაქარია ფალიაშვილი და ქუთაისი.
3. ვაჟა გვახარია – ქართული მუსიკის მშვენება.
4. ლ. დოლიძე, ო. ჩიჯავაძე, გ. ჩხიკვაძე – ქართული მუსიკის ისტორია.
5. ზაქარია ფალიაშვილი – ცეკვები ფალიაშვილის ოპერებიდან.
6. ზ. ფალიაშვილი – სიმღერები ბავშვთა გუნდისათვის.
7. ზ. ფალიაშვილი. 100 წელი დაბადებიდან

(ალბომი).

ამ წიგნების გამოყენებით, ჩენი ბიბლიოთეკის მკითხველებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში, რომელიც ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმმა გამოაცხადა და საპატიო დიპლომებიც დაიმსახურეს.

ზ. ფალიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ ლიტერატურის ამსახველი პერსონალური ბიობიბლიოგრაფიული ცნობარი გამოცემულ იქნა 1964 წელი, რომელიც ლ. ზამბახიძის მიერაა შედგენილი.

ჩვენს ბიბლიოთეკაში ფალიაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში მოეწყო მუსიკალური კომპოზიცია „ქართული მუსიკის გენია“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურულ-მუსიკალური სალონის აქტიური დამსწრეები, რომლებიც ყოველ ორშაბათს იკრიბებიან სალონში და საინტერესო საუბრებთან ერთად ისმენენ კლასიკურ მუსიკას.

ბავშვებს ვესაუბრეთ ფალიაშვილის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ. მოვასმენინეთ ნაწყვეტები მისი ოპერებიდან, ხოლო ბავშვებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ოპერების „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ შინაარსი. წაიკითხეს ფალიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები. მე-14 მუსიკალური სკოლის პედაგოგმა თინა მესხიშვილმა და ბიბლიოთეკის გამგემ ინგა არგუტინსკაიამ მადლობა გადაუხადეს მონაწილეებს და შემდგომში ამ კონტაქტების უფრო გაღრმავების იმედით, გზა დაულოცეს მათ.

ღიძნეული მამულიშვილები

იური სიხარულიძე

სკენდერ სიჰაქე

მარად კეთილად მოსაგონარი სკენდერ ცივაძე იმ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ღირსეულ მოღვაწეთა ბრწყინვალე კოჰორტას ამშვენებდა, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო მშობლიურ ქვეყანას.

დაუფინყარ მოღვაწეს მრავალი ღვთიური მადლი მოდგამდა, რომელთა ერთობლიობამ ადრედაწვე შეუწყო ხელი საზოგადოებრივ სარ-

ბიელზე მის სწრაფ დანიშნულებას. იყო დიდად განათლებული, ჩინებული ორატორი, აღნაგვი და მშვენიერი ფიზიკური ტიპი, სიკეთით სავსე და გამორჩეულ თვისებებით სავსე.

ს. ცივაძის პოლიტიკური პორტრეტის რამდენიმე შტრიხი ყველაზე ადრე აპოლონ ნულაძემ მოხაზა:

ეს იყო 1915 წელს, როდესაც მისი ფართოდ

გახმაურებული წიგნი („ძმური სიტყვა“) გამოქვეყნდა. აპოლონ ნულაძე თავის წიგნში განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ს. ცივაძის მაღალ განათლებულობასა და სხვადასხვა ენათა ცოდნაზე.

ამ ენებში, პირველ რიგში, არაბული და ოსმალური ენები უნდა ვიგულისხმოთ.

ამ ენებზე თავის მამულიშვილურ გრძნობათა გამოხატვას იმ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გახსნილი გონების წყალობით, ბატონი სკენდერი ადრე ჩანვდა თავის ეროვნულ ვინაობას და მთელი სიცოცხლე მისთვის შეუდრეკელ ბრძოლას შესწირა.

მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ოსმალის ყოფილ საქართველოში ქართული ენის გავრცელება და ეროვნული ვინაობის შეგნების აღდგენაზე ფიქრი გახლდათ.

ამიტომაც იყო, რომ ჩვენი მოღვაწე არც ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას არ უშვებდა უყურადღებოდ და გულში ჩამწვდომად გამოხატავდა თავის სწორ შეხედულებებს.

ამ მხრივ სამაგალითოა მისი გამოსვლა სამკითხველოს გახსნაზე ქობულეთში, სადაც მან არა მარტო ნათლად მიაჩინა ასეთ დანესებულებათა დიდ მნიშვნელობაზე, არამედ თანამომძმეთ მოუწოდა, კიდევ გამოეყენებინათ იგი განათლებისა და ცხოვრების ავკარგის უკეთ

შეცნობისათვის.

ის ქართული სკოლების გახსნაზეც შესაშური თავდადებით იღვწოდა და ამ მხრივაც წარმატებული ბრძანდებოდა და არა მარტო მშობლიური ქობულეთით შემოიფარგლებოდა ამ შესანიშნავი ქართველის მოღვაწეობა.

თავისი სიტყვა მშობლიურ ქვეყანას საქართველოს ეროვნული ყრილობის მაღალი ტრიბუნიდანაც შთამბეჭდავად მოჰყვინა 1917 წლის 19 ნოემბრის (ძვ. სტილით).

ს. ცივაძე სამაგალითოდ ემსახურა საქართველოს პირველ რესპუბლიკას და არც მეორე რესპუბლიკისადმი აპირებდა ყურადღების შენელებასა, მაგრამ გასული საუკუნის 30-იანი წლების დამდეგიდან ისე დამძიმდა რეჟიმი, რომ ჩვენი ეს ღვაწმოსილი პიროვნება იძულებული იყო შეეღობა მშობლიურ ქვეყანას და საზღვარგარეთ წასულიყო.

ბატონი სკენდერი სამსუნს დამკვიდრდა და იქვე აღესრულა 1967 წელს.

1999 წლის მაისის დამდეგს ბურსისკენ მიმავალ ქართველებს, რომელთა შორისაც პროფესორი დავით კომახიძეც და ამ სტრიქონების ავტორიც იყვნენ, საშუალება გვქონდა მოგვენახულებინა ს. ცივაძისა და მისი მეუღლის (ნარგული ჭყონია) საფლავები და ღირსეული პატივიც მიგვეგო მათთვის.

პოლემიკა

გურამ თაყნიაშვილი

ქაღი მოვიხაროთ ბიბლიოთეკარების წინაშე

საქართველოში ბიბლიოთეკარის პროფესია ოდითგანვე ითვლებოდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, პასუხსაგებ და საპატიო პროფესიად. ბიბლიოთეკებში იღვწოდნენ და დღესაც იღვწიან განათლებული, ინფორმირებული, ენთუზიაზმით აღსავსე პიროვნებები. საბიბლიოთეკო რესურსებით მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა მომსახურება ყოველთვის მოითხოვდა პროფესიულ ცოდნას, ზოგად განათლებას, იმ ხერხებისა და მეთოდების დაუფლებას, რომლებიც აუცილებელია წიგნის უკიდევანო სამყაროში ორიენტაციისათვის. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ბიბლიოთეკებში ფეხს იკიდებს კომპიუტერული ტექნოლოგიები, ამ სფეროში მოღვაწე სპე-

ერთი კორესპონდენციის გამო

ციალისტებისაგან მოითხოვს ტრადიციული ცოდნის გადაიარაღებას. ბიბლიოთეკარების იმ თაობას, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური განათლება, კარგად აქვს შეგნებული ახალი ტექნოლოგიების არსი და დანიშნულება; ის ფაქტი, რომ კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნს, დღის წესრიგიდან არ ხსნის წიგნზე მუშაობის ტრადიციულ ფორმებსა და მეთოდებს.

თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები ძირითადად დაფუძნებულია ინფორმაციის პირველადი წყაროების გადამუშავების პროცესებზე. ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ბიბლიოთეკების აბსოლუტური უმრავლესობა მუშაობს საბიბლიოთეკო მომსახურების ტრადიციული ფორმებითა და

მეთოდებით, ბიბლიოთეკარის პროფესიული განათლება ფრიად მნიშვნელოვანი ხდება. საქართველოში ამჟამად დროებით შეწყვეტილია პროფესიული ბიბლიოთეკარების მომზადება. ამ დარგში მოღვაწე არასპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებული კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები. ასეთი სიტუაციიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკარის პროფესია მით უფრო ყურადღებისა და მეტად დაფასების ღირსია. ბიბლიოთეკები მტკივნეულად ლეზულობენ მათი პროფესიისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულების ფაქტებს. სწორედ ბიბლიოთეკარების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ფაქტებს ნახავთ გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ მასალაში (11 მარტი, 2011) საგაზეთო სტატია ეხება თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჩატარებული კონკურსის შედეგებს. (გამოხმაურება ამ კორესპონდენციაზე იხ: ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, № 2, 2011 წ. გვ. 8–12), ამ კონკურსის ორგანიზატორთა მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა ბიბლიოთეკარის პროფესიის შესახებ საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობაში გამოიწვია უარყოფითი დამოკიდებულება, უკმაყოფილება, გაკვირვება და დაისვა კითხვა: – ვინ არიან ისინი, ვინც განიკითხავენ ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოთეკარებს?

როგორ ჩატარდა კონკურსი და რა შედეგით დასრულდა, კარგად უწყიან კონკურსში მონაწილეებმა, „კონკურსის დიზაინის“ ორგანიზატორებმა. ფაქტი აშკარაა: – კონკურსის შედეგად სამსახურიდან გაუშვეს 14 თანამშრომელი, რომლებმაც, სავარაუდოდ, კომპიუტერში ვერ დააკაბადონეს ტექსტი, პირველწყაროდან ვერ მოიძიეს ილიას უნივერსიტეტის გერბი, რათა შესატყვის ადგილზე მოხერხებულად ჩაესვათ იგი და ასე შემდეგ... უფრო მეტიც! ბიბლიოთეკარებმა ვერ გამოამჟღავნეს ახალი ტექნოლოგიების, იგივე კომპიუტერის გამოყენებით გეოგრაფ–სტატისტიკოსების ცოდნა, ანუ ვერ გამოიყენეს ფორმულა, რათა მოეძიებიათ და ზუსტად გამოეანგარიშებიათ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ. მეტრ ფართობზე, ვერ მოათავსეს ექსელის ცხრილში იქვე მოპოვებული, ინგლისურიდან ქართულად თარგმნილი გეოგრაფიულ–პოლიტიკური ინფორმაციის შემცველი მასალები ამ სახელმწიფოების შესახებ, სახელმწიფოებრივი დროშებითურთ.

ასეთ და მსგავს არაპროფესიულ კითხვებზე ბიბლიოთეკარებმა საჭირო ქულები ვერ დააგ-

როვეს. როგორც ბიბლიოთეკის დირექტორი ნ. გაბრიჩიძე განმარტავს, კონკურსი გამოცხადდა ოთხი მიმართულებით: დაკომპლექტება, კატალოგიზაცია და კლასიფიკაცია, მკითხველთა მომსახურება და საინვენტარო ყურნალების ელექტრონიზაციის პროცესი. ამათგან კატალოგიზაციასა და კლასიფიკაციას ბიბლიოთეკის დირექტორი განმარტავს როგორც ტექნიკურ პროცესს. ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატის ორგანიზებაში ნაკლებად ჩახედული ბიბლიოთეკარიც კი დაგვეთანხმება, რომ საბიბლიოთეკო დოკუმენტების კატალოგიზაცია და, მით უმეტეს, კლასიფიკაცია ფრიად გონივრული და ღრმად პროფესიული საბიბლიოთეკო პროცესია, რომელიც მოითხოვს წიგნის, საკლასიფიკაციო სისტემისა და მკითხველის ინტერესის ცოდნას.

საინტერესოა, იმ თანამშრომლებიდან, რომლებმაც ვერ დასძლიეს კონკურსის ბარიერი, რომელი მათგანი ვერ ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას? ფაქტი ის გახლავთ, რომ პროფესიონალი ბიბლიოთეკარის სამსახურიდან გაშვების შემდეგ შემცვლელმა ანუ კონკურსში გასულმა ბიბლიოთეკარებმა სტუდენტებს წიგნი ვერ მოუძებნეს. მართლაც ძნელია აღნიშნულ წიგნსაცავში წიგნის მიგნება, ვინაიდან ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო დოკუმენტების განლაგება ორი საკლასიფიკაციო სქემის მიხედვით ხდება და ამას მხოლოდ პროფესიონალი თუ გაარჩევს. დ. კიზირია ბიბლიოთეკარის დაბალი კვალიფიკაციის ფესვებს საბჭოთა პერიოდიდან ეძებს: „სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდიდან არსებობს შეხედულება, რომ ბიბლიოთეკარი ყველაზე უუნარო ადამიანია, რომელიც სხვაგან ვერაფერს გააკეთებს“. სწორედ საბჭოთა პერიოდში მომზადებული ბიბლიოთეკარები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის გრძნობით, მათ, ერთხელ არჩეული პროფესიისათვის არ უღალატიათ და სხვაგან არსად არ წასულან დ, კიზირიას მსგავსად, მათ ჩვენს თვალწინ დაამტკიცეს პროფესიისადმი ერთგულება. მეტიც, მათ მძიმე სოციალურ პირობებში, ფაქტობრივად, უხელფასოდ მომუშავეებმა შეინარჩუნეს და დღემდე პატრიოტიზმის დონემდე აყვანილი ენთუზიაზმით მოიტანეს საბიბლიოთეკო ქსელი და ბიბლიოთეკებს მისცეს ორგანიზებული სახე.

კადრების შერჩევა ყოველთვის იყო და რჩება საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ფუძემდებლურ პრინციპად. მით უმეტეს, თანამედროვე ეტაპზე, როდესაც აღარ მზადდებიან სპეციალური განათლების მქონე პირები. ეს გარე-

მოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს გამოცდილი კადრებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების აუცილებლობას. ბიბლიოთეკის დირექტორის ნ. გაბრიჩიძის აზრით, „პროფესიული კომპეტენცია საბიბლიოთეკო საქმეში არ არსებობს. საბიბლიოთეკო სკოლა იყო ყოფილ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში. გამოცდილება, რომელსაც ის სკოლა გასცემდა, დღეს „გამოუსადეგარია“, აქვე დასძენს, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას ერჩია სხვა სფეროში გამოცდილი პიროვნებები აეყვანა, ვიდრე ისინი, „რომელთაც 50 წლის წინანდელი გამოცდილების შესახებ აქვთ ცოდნა“, უკანასკნელი 15–20 წლის მანძილზე ბიბლიოთეკებში სამუშაოდ მოვიდნენ სხვადასხვა სპეციალობის პიროვნებები, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზედაც, რომელთა უმრავლესობამ წარმატებით აითვისა საბიბლიოთეკო მენეჯმენტის პრაქტიკა, მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში არ გამოუჩენიათ პროფესიონალ-ბიბლიოთეკარებისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორც აღნიშნულ ბიბლიოთეკაში.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბიბლიოთეკარის ე.წ. პროფესიული კომპეტენცია კარგად არის ჩამოყალიბებული ამ დარგში შემუშავებულ კანონში, კანონქვემდებარე აქტებში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში და იმ ნორმატიულ დოკუმენტებში, რომლებიც შემუშავებულია ბიბლიოთეკების დამფუძნებელთა მიერ, რაც შეეხება 50 წლის წინანდელ გამოცდილებას, სწორედ ასეთი გამოცდილებაა დღევანდელი საბიბლიოთეკო პრაქტიკის ბალავერი, პროფესიონალმა ბიბლიოთეკარებმა დააგროვეს ეს გამოცდილება, რომელიც დღენიადაც სრულყოფილ სახესღებულობს თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების გონივრული გამოყენების პირობებში. სწორედ გამოცდილი ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოგრაფების, აგრეთვე ამ დარგში მომუშავე განათლებული ადამიანების ხელით დღესაც იქმნება ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის, ნიგნის ისტორიისა და მეცნიერულ-მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლი-

ოთეკაში და სხვა უნივერსალურ-სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. ბიბლიოთეკარის პროფესიისადმი კონკურსის ორგანიზატორთა ასეთი დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ ისინი არ იცნობენ ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის დარგში არსებულ ნაშრომებს, რომლებიც დღესაც სამაგიდო წიგნების როლს ასრულებენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

„24 საათში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორი ს. კილასონია აცხადებს, რომ „ბიბლიოთეკების პროცენტულად დიდი ნაწილი მკითხველს ახალს არაფერს არ სთავაზობს და რომ სასწავლო ცენტრებში არსებული ბიბლიოთეკების ზეგავლენა დიდწილად ნულის ტოლია“. როგორ გამოდის ასეთი ბრალდებით ნ. კილასონია, როდესაც არ იცნობს საბიბლიოთეკო პრაქტიკას? მაინც ვურჩევთ პუბლიკაციის ავტორს, ნუ შევა ბიბლიოთეკებში, თუ არ უნდა, რომ დაეუფლოს „უფერული, უსიამოვნო ან სევდისა და მონყენილობის გამომწვევი განცდები“ საპირისპირო განცდების დასაუფლებლად ვურჩევთ შევიდეს ცირკში, ფილარმონიაში, კინოში და ა.შ. ბიბლიოთეკები ყოველთვის იყო და დარჩება აღზრდის, განათლების, მეცნიერული კვლევის, ინფორმაციის მიღებისა და ერის ინტელექტუალური სიმდიდრის საგანძურად. დღესაც ბიბლიოთეკარები პატრონობენ ერის დიდ სულიერ სიმდიდრეს – აუწონელს, შეუფასებელს... ერის ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვეთა გონით შექმნილი ინტელექტუალური სიმდიდრე მათ ხელთაა, ისინი იცავენ, აწესრიგებენ, ხდიან მას ხელმისაწვდომს. ქედი მოვიხაროთ ამ ადამიანების წინაშე, ისინი არიან უსაჩინოესი და უსპეტაკესი პროფესიის პიროვნებები, ბიბლიოთეკარები – მოკრძალებულნი, თავმდაბალნი, საამოდ მოსაუბრენი. მათი საქმე და ნაღვანი ნათლად ჩინობს მკითხველი საზოგადოების თვალში.

„24 საათში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც არა მარტო კონკურსს, არამედ ბიბლიოთეკარის პროფესიასაც ეხება, დაწერილია არასაბიბლიოთეკო ტერმინოლოგიითა და გამართავი ქართულით.



ოთარ ოსაძე

მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში*

1956 წლის ბოლოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა ვლადიმერ უზნაძემ დამიბარა და შემომთავაზა მასთან სამუშაოდ გადავსულიყავი დაკომპლექტებისა და დამუშავების განყოფილების გამგედ. ამ შემოთავაზებას მაშინვე უყოყმანოდ დავთანხმდი, არა მხოლოდ იმისათვის, რომ თანამდებობას ან შედარებით მაღალ ხელფასს დავხარბდი, არამედ უფრო იმიტომ, რომ მეტი პრაქტიკული გამოცდილება მიმელო ბიბლიოთეკათმცოდნეობის იმ ვიწრო სპეციალობაში, რასაც კურსების მსმენელებსა და საბიბლიოთეკო სასწავლებელში ვასწავლიდი, თანაც მივლინებებში ხშირი სიარულიც აღარ მომიწევდა, რადგანაც ჯერ კიდევ მეთოდისტად მუშაობის დროიდან შეთავსებით „ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციის“ კურსს ვასწავლიდი ზემოხსენებულ სასწავლებელში.

აკადემიის ბიბლიოთეკაში გადასვლამდეც ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცოდი და კვალიფიციური სპეციალობამდეც ბევრი მაკლდა, რადგანაც ლიტერატურის კლასიფიკაცია – სისტემატიზაცია და კატალოგების ორგანიზაცია ერთ-ერთი რთული დარგია და მისი სრულყოფილი დაუფლება თეორიულად, მხოლოდ წიგნების კითხვით არ შეიძლება. თუ პრაქტიკა არ მიიღე და წიგნების მტვერი არ ჩაყლაპე, როგორც ინგლისელი ბიბლიოგრაფი ბიშოპი ამბობდა, კლასიფიკატორს მეექვსე გრძნობა – წიგნის გრძნობა უნდა გააჩნდეს.

განყოფილებაში ჩემზე მეტი გამოცდილების მქონე თანამშრომლები დამხვდნენ. მათზე სამუშაოთა ფუნქციებიც სათანადოდ იყო განაწილებული – ზოგი დოკუმენტების აღწერაზე და ბარათების გამრავლებაზე იყო დასაქმებული, ზოგი კლასიფიკაცია – სისტემატიზაციასა და სისტემურ კატალოგში ბარათების ჩართვაზე, მათ რედაქტირებაზე, ზოგს პერიოდიკის დამუშავება და მათი კატალოგების ორგანიზაცია ჰქონდა მინდობილი, ზოგს კიდევ უცხოური ლიტერატურის დამუშავება და კატალოგებში ასახვა. ერთი სიტყვით, მეტად რთული და შრომატევადი საქმე გვებარა. მე გადავწყვიტე, ყველაფერი საფუძვლიანად შემესწავლა.

ვერ ვიტყვით, რომ ე. წ. საბჭოთა ეპოქაში ყველაფერი მოუგვარებელი იყო. თუნდაც ის რად

ღირდა, რომ აკადემიის ბიბლიოთეკა მოსკოვიდან ფასიანი სავალდებულო ეგზემპლარების სახით ყველა წიგნს იღებდა, ხოლო ამ წიგნების აღწერილობანი ბეჭდური ბარათების სახით მოგვდიოდა. ყოველივე ეს დიდად უწყობდა ხელს როგორც ფონდების დაკომპლექტებას, ასევე კატალოგების ორგანიზაციასაც, თუმცა ზოგიერთ საქმეში ხშირად იჩენდა ხოლმე თავს რაღაც გაურკვევლობანი, რომლის გარკვევაში გვეხმარებოდა ხოლმე კონსულტანტად მონვეული ბატონი ნიკო ლორთქიფანიძე, რომელიც კვირაში ერთხელ შემოვიდოდა ჩვენთან და მასთან ერთად ვმუშაობდით.

აკადემიის ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს ბევრი რამ ვისწავლე. პირველ ხანებში განყოფილების საქმიანობა როგორც იყო აწყობილი, მეც ისე მივყვებოდი, მაგრამ შემდეგ, როცა საქმის ვითარებაში უფრო ღრმად ჩავიხედე, გავბედე, ზოგიერთ საქმეში ინციატივის გამოჩენა. ერთი ის, რომ სავალდებულო ცალებს შორის დიდი რაოდენობით შემოდიოდა წვრილმანი, ე. წ. „სემიჩკა“ – უმეტესად ბროშურები, რომლებიც ინდივიდუალურად მუშავდებოდა, რაც მიზანშეწონილი არ იყო, რაკი დიდ დროს მოითხოვდა და მათზე მკითხველთა მოთხოვნებიც თითქმის არ იყო. ვნახე რა ასეთი გამოცემებისა ე. წ. „ჯგუფური“ დამუშავებას ინსტრუქცია, დირექტორს შევთავაზე, ჩვენც შემოგველო დამუშავების ასეთი წესი. მართლაც ეს საქმე მალე დაინერგა ბიბლიოთეკაში. მეორე – ჩავიხედე რა ჟურნალების კატალოგში, ვნახე, რომ აქ დიდი რაოდენობით ჩართულია ე. წ. „გრძელდებადი გამოცემების“ ცალკეული ნომრების ანალოგიური აღწერილობანი მონოგრაფიებზე, რომლებიც ჟურნალების კატალოგში კი არა, ანბანურ და სისტემურ კატალოგებში უნდა ყოფილიყო ასახული. დირექტორის თანხმობის შემდეგ ეს კატალოგი გაიწმინდა ზედმეტი ბარათებისაგან.

1957 წელს ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკიდან მივიღეთ მათ მიერ სინას მთაზე და იერუსალიმში დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფირები. საჭირო გახდა მათი ფოტოპირების გადაღება და კატალოგების შედგენა. ამ სამუშაოთა ორგანიზაცია დირექტორმა სწავლულ მდივანს, დიდად განსწავლულ კაცს,

*გაგრძელება. დასაწყისი. იხ. : 2010 №1,2,3; 2011, №2.



ვანო ლოლაშვილსა და მე დაგვაგვალა. ნიგნებად აკინძული ამ ფოტოპირებისა და მათი კატალოგების სახით ქართულ მეცნიერებას ძვირფასი საგანძური შეეძინა.

ამ პერიოდში ერთფეროვან საქმეშიც მომიხდა მონაწილეობის მიღება. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სარდაფებში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ეყარა გერმანიიდან გამოტანილი ე. წ. „სატროფეო ფონდი“. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ თურმე გერმანიი ბიბლიოთეკებიდან დიდი რაოდენობის ნიგნები ვაგონებით ლენინგრადში გამოზიდეს და შემდეგ მოხდა მათი გადანაწილება ქვეყნის სხვადასხვა ბიბლიოთეკებისათვის და ერთი ვაგონი ნიგნებისა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასაც მისცეს. მათ ჩამოსატანად ლენინგრადში წასულან ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ელენე ჟუჟუნაძე და ნიკო ლორთქიფანიძე. მათი ჩამოტანილი ნიგნები, სხვა ადგილი რომ ვერ უნახავთ, დროებით მუზეუმში მიუტანიათ. როცა აკადემიის პრეზიდიუმმა ბიბლიოთეკას აკადემიის ეზოში გამოთავისუფლებული შენობა გადასცა, შესაძლებელი გახდა ამ ნიგნების აქ გადმოტანა. ცხადია, ეს სამუშაო მეტად მძიმე და შრომატევადი იყო. გადმოტანილი ეს ძვირფასი ნიგნები გადაირჩა, ნაწილი სხვადასხვა ბიბლიოთეკას გადაეცა, ხოლო ძირითადი ცენტრალურ ბიბლიოთეკას დარჩა და დამუშავდა. აქ უკვე მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებ და გეტყვით, რომ შემდეგ, ცოტა უფრო მოგვიანებით, ეს ნიგნები, რა თქმა უნდა, ნაწილი, საბჭოთა და გერმანიის მთავრობათა შეთანხმებით, უკან დაუბრუნდეს გერმანელებს.

ზოგჯერ ჩვენთან ბიბლიოთეკაში საწარმოო პრაქტიკაზე იმყოფებოდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები. მათი ხელმძღვანელობა დირექტორმა მე დამავალა.

პრაქტიკის მსვლელობიდან ბევრი რომ მაქვს გასახსენებელი, მაგრამ აქ მხოლოდ ერთ შემთხვევაზე გვინდა ვიამბოთ, რადგანაც იგი მომავალში ჩემს განუყრელ მეგობრებს ეხება. 1957 წელს, სხვებთან ერთად, პრაქტიკაზე იყვნენ ალექსანდრე ლორია, ნოდარ გურგენიძე და დემონ კალანდაძე. ყველა განყოფილებიდან მათზე კარგი დახასიათება მივიღეთ, მაგრამ დამამახსოვრდა ერთი მომენტი, რაც ბატონ ალექსანდრეს ეხება და ცოტა ღიმილის მომგვრელიცაა: ნიგნების კლასიფიკაციაზე მუშაობდა ხანდაზმული ქალბატონი ანა ათარბეგოვა. მან ყველა პრაქტიკანტის დახასიათება გადმოგვცა, მოკლედ ზოგზე რას წერდა და ზოგზე

რას, მხოლოდ რუსულ ენაზე. ა. ლორიას მოკლე დახასიათება კი ასეთი იყო – „უმნი, ნო ხიტრი“. როცა ეს დახასიათება ალექსანდრეს ვაჩვენე, მან გაიღიმა და თქვა: – კარგად დაუნერია, ყველა ჭკვიანი კაცი ეშმაკიაო.

ყველგან, სადაც კი ვიმუშავე, ყოველთვის გამორჩნდა რაღაც „არაპროფესიული“ საქმე, რომლის შესრულება მე მომიხდა. 1957 წელს, აკადემიის პრეზიდიუმის გადანყვეტილებით, ბიბლიოთეკას გადმოეცა სოხუმის სუბტროპიკული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ავტომანქანა „ვილისი“. მძლოლად აყვანილ გლდანელ ახალგაზრდა ტარიელ ფეიქრიშვილთან ერთად დაგვევალა ამ მანქანის თბილისში ჩამოყვანა.

ილია ჭავჭავაძეს აქვს ნათქვამი: „ხიფათი ამშვენებს კიდევ მგზავრობასაო“. ცხადია, ამშვენებს და შემდეგში სასიამოვნო მოგონებადაც რჩება, თუ კი იგი ბოლოს მშვიდობიანად მთავრდება. ჰო, და მე და ტარიელმა თბილისში საბოლოოდ მშვიდობით კი ჩამოვალნიეთ, მაგრამ გზაში ბევრ ხიფათს გადავეყარეთ. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დიდი სიამოვნებით გადმოგვცა თითქმის ჩამოსანერად გამზადებული, დანჯღრეული მანქანა, რადგანაც მათთვის თურმე ახალი მანქანა მიუციათ და ძველის თავიდან მოცილება გაუხარდათ. სოხუმიდან ნაშუადღევს გამოვედით და, გამოვცდით თუ არა ქალაქს, მანქანას საჭე მოძვრა და გავჩერდით. მძლოლმა ბევრი ინვალა და საჭე ისე მიამაგრა, რომ ნელი სვლით, როგორც იქნა, გვიან ღამით ზუგდიდამდე ჩამოვალნიეთ. ის ღამე მანქანაში გავათენეთ და დილით ზუგდიდის კულტურის განყოფილების გამგეს შალვა ქობალიას მივაგდექი, რომლთანაც ძველი მეგობრობა მაკავშირებდა და მისი დახმარებით ავტომანქანა, ასე თუ ისე, შევაკეთეთ და გზა განვაგრძეთ, თუმცა თბილისამდე მრავალი დაბრკოლება შეგვხვდა.

ამ უსიამოვნო მოგონების შემდეგ სასიამოვნო მოგონებად დამრჩა მივლინება მოსკოვში. დირექტორმა მე და ნიგნსაცავის გამგეს სიმონ ხადურს შემოგვთავაზა ნავსულიყავით საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, გაცნობოდით მათ საქმიანობას და გაგვეზიარებინა ერთმანეთის გამოცდილება. ამ ბიბლიოთეკაში რამდენიმე დღეს ვიმუშავეთ და ბევრი ახალი და საინტერესო რამ ვნახეთ. ვიყავით და დავათვალიერეთ აგრეთვე ყოფილი ლენინის სახელობის საკავშირო ბიბლიოთეკა, იქაც, ცხადია, მრავალი საინტერესო რამ ვნახეთ, მაგრამ იქ, ერთი შეხედვით უბრალო, ჩვენთვის კი მნიშვნელოვანი ფაქტის მომსწრე-

ნი გავხდით. წიგნთსაცავის გამგის, ვაშკაცური აღნაგობის ქალბატონის კაბინეტში, საწერ მაგიდის თავში ეკიდა სტალინის ვებერთელა სურათი ჩიბუხით ხელში. ეს იყო 1957 წელი, მაშინ, როცა სტალინის პიროვნების კულტი დაგმობილი იყო და ქვეყანაში სტალინის სურათებს კი არა, ძეგლებმაც კი ანგრევდნენ. ჩვენი გაცემა ამ ქალბატონს შეუმჩნეველი არ დარჩა და გვითხრა – ვიდრე მე აქ ვარ, ეს სურათიც მუდამ აქ იქნებაო. წარმოიდგინეთ ჩვენი და განსაკუთრებით გორელი კაცის, სიმონ ხადურის სიხარული, რომელმაც აღტაცება ვერ დაფარა და თქვა – აქ ჩამოსვლა თუნდაც ამისათვის ღირდაო.

ჩვენთანაც ჩამოდიოდნენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ორივე, ლენინგრადისა და მოსკოვის ბიბლიოთეკებიდან სტუმრები. ცხადია, მათ ყოველთვის ქართული სტუმართმოყვარეობით ვხვდებოდით და კმაყოფილებსაც ვისტუმრებდით, თუმცა მათი ჩამოსვლის მიზანი მაინც ჩვენი ბიბლიოთეკის შემოწმება იყო. მათი სტუმრობიდან ბევრი რამ დაგვრჩა სამახსოვრო, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი შემთხვევის შესახებ გვინდა გაიმბოთ: 1957 წელს მოსკოვიდან სამი ქალბატონი გვესტუმრა, რომელთა მიზანი იყო ბიბლიოთეკის ფუნდამენტური შემოწმება. მათ ჩემს განყოფილებაშიც გულდასმით იმუშავეს, ზოგი რამ მოგვიწონეს, ზოგიც დაგვიწუნეს და ბოლოს, როცა შემოწმების შედეგებს გვაცნობდნენ, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეს ჩვენი შეცდომა, რომ სისტემატურ კატალოგში ლიტერატურა სსრ კავშირის შესახებ ერთმანეთისგან გათიშულია, რაც ყოვლად დაუშვებელიაო. მე დავეთანხმე, რომ ეს მართლაც ასე იყო. მაშინ საქმეში ჩვენი კონსულტანტი ბატონი ნიკო ლორთქიფანიძე ჩაერია და ჩვენს სტუმრებს იქით შეუტია და უთხრა, რომ ეს გაუგებრობა სწორედაც თქვენი დაუდევრობის ბრალია, რადგანაც დღემდე არ დაგიმუშავებიათ სსრ კავშირის გეოგრაფიული გამსაზღვრელების (დეტერმინანტების) ცხრილები სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის, რაც გამოასწორებდა იმ ნაკლს, რომელიც სისტემატურ კატალოგში ათწლიადი კლასიფიკაციის მიხედვით ლიტერატურის კლასიფიკაციით არის გამოწვეული. ერთი სიტყვით, ბატონმა ნიკომ მიხსნა როგორც „უდანაშაულო დამნაშავე“. თქვენ ალბათ ხვდებით, აქ რაშიც არის საქმე და ამის შესახებ უფრო დანვრილებით შემდეგში გვექნება საუბარი, აქ კი ერთს გეტყვით, რომ ამის შედეგად ბატონ ნიკოს მიერ დამუშავებული და საქართველოს წიგნის პალატის მიერ 1960 წელს რუსულ ენაზე გამოცემული

წიგნი: „Географические определители СССР для крупных библиотек“.

მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკებს შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ერთ-ერთ ავტორიტეტულ დანესებულებას წარმოადგენდა და მის დირექტორსაც ბატონ ვლადიმერ უზნაძეს ცენტრი ანგარიშგასაწევ პიროვნებად თვლიდნენ და განსაკუთრებით პატივსაც სცემდა. ამის დასტური ისიც იყო, რომ 1958 წელს სწორედ თბილისში ჩატარდა ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკების დირექტორთა საკავშირო თათბირი. ეს თათბირი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ნიკო მუსხელიშვილის დახმარებით, მისი ავტორიტეტითა და მხარდაჭერით, შეიძლება ამაყად ითქვას, რომ უმაღლეს დონეზე ჩატარდა და სტუმრები შინ კმაყოფილები დაბრუნდნენ.

ამავე, 1958 წელს მოხდა ჩვენი ბიბლიოთეკის სტრუქტურის რეორგანიზაცია. დაკომპლექტებისა და დამუშავების განყოფილება გაიყო ორად. ამავე დროს შეიქმნა ახალი, მეთოდური განყოფილება, რომლის გამგედაც მისივე სურვილით გადაყვანილ იქნა ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ელენე ყუყუნაძე და მის ადგილზე მე დამნიშნეს.

გვინდა აქ ერთი, თითქოს და უმნიშვნელო, ამბავი გაიმბოთ, არა მხოლოდ იმისათვის, რომ იგი პირადად მე სასიამოვნო მოგონებად დამრჩა, არამედ იმიტომ, რომ იგი ნათლად ახასიათებს შემდგომ ყბადაღებულ ე. წ. „უძრაობის პერიოდს“ – თუ როგორ ვმუშაობდით და ვცხოვრობდით ამ „უძრაობის“ პერიოდში. მაშინ უკვე დირექტორის მოადგილე ვიყავი, როცა მეცნიერებათა აკადემიის პროფკომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ბორის ყურაშვილმა მიხმო და შემომთავაზა გუდაუთის სანატორიუმის საგზური და მითხრა, ხვალვე უნდა გაემგზავრო. ეს შემოთავაზება მესიამოვნა, მაგრამ როცა ვუთხარი, ასე მალე ვერ წავალ-მეთქი, მითხრა – არა უშავს, რამდენიმე დღის შემდეგ წადი, ჩვენ კი სანატორიუმს ვაცნობებთ, რომ ჩასვლა დაგიგვიანდებო. როცა სანატორიუმში მივედი, მათ დიდი პატივით მიმიღეს, რადგანაც აკადემიკოსის ხელმონერით მიღებული დეპუტის გამო, მიიჩნიეს, რომ მეც დიდი ვილაც ვიყავი, და შემდეგშიც ოცი დღის განმალვობაში, ვცხოვრობდი რა ცალკე კეთილმოწყობილ ოთახში, ყურადღებას არ მაკლებდნენ. დღევანდელისაგან განსხვავებით, ასეთი იყო ის „უძრაობის პერიოდი“.



გუდაუთიდან დაბრუნების შემდეგ დირექტორი თვითონ წავიდა შვებულეებაში და დროებით დირექტორის მოვალეობის შესრულება მე დამავალა. ეს იყო აკადემიის ბიბლიოთეკაში ჩემი საქმიანობის კულმინაცია. ამის შემდეგ აქ მხოლოდ რამდენიმე თვეს დავყავი და ჩემი მცდარი ნაბიჯისა თუ კვლავ ბედისწერის გამო, აქედან სამუშაოდ პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავედი. საქმე იმაში იყო, რომ ჯერ კიდევ განყოფილების გამგედ მუშაობისას, ბატონმა ნიკოლორთქიფანიძემ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე „ფონდების ორგანიზაციის“ კურსის წაკითხვა დამავალა. ამ საქმეს ბიბლიოთეკაში მუშაობასთან ერთად ორი წლის განმავლობაში ვათავსებდი. მერე კი ბატონმა ნიკომ შემომთავაზა,

რომ ინსტიტუტში გადავსულიყავი. ვატყობდი, რომ ბატონ ვლადიმერ უზნაძეს არ უნდოდა ჩემი „დათმობა“, მაგრამ საპატივცემლო მეგობარს უარი ვერ აკადრა და 1959 წლიდან ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრაზე მასწავლებლის შტატით გამაფორმეს.

სიამოვნებით ვიგონებ რა მეცნიერებათა აკადემიაში გატარებულ წლებს, უნდა ვთქვა, რომ იქ მუშაობამ კარგი გამოცდილება შემძინა და, გარდა ამისა, ახლოს გამაცნო დიდ მეცნიერებს, გამოჩენილ მოღვაწეებს, მწერლებს: ნიკო მუსხელიშვილს, გიორგი ძონენიძეს, სერგი დურმიშიძეს, ნიკო კეცხოველს, კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრიშაშვილს, ბორის ყურაშვილს, მიხეილ ჩიქოვანს... თუნდაც მათი გვერდით ყოფნა ღირს მოსაგონებლად.

ლალი გოძაძე

57-ე ფილიალის გამგე

მკითხველთა გახსენება



ბიბლიოთეკარები დღესაც დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებენ იმ მკითხველებს, რომელთათვისაც ბიბლიოთეკა მიჩნეული იყო ერთ დიდ ოჯახად, საიდანაც ისინი სულიერ საზრდოს ღებულობდნენ, ეცნობოდნენ ქართველი და უცხოელი მწერლების შემოქმედებას, ესწრებოდნენ ბიბლიოთეკაში ჩატარებულ ღონისძიებებს. ასეთი მკითხველებისაგან ბიბლიოთეკებიც ბევრ რამეს სწავლობენ. ეს არის ადამიანური ურთიერთობის იშვიათი ფორმა და საშუალება. ამ ურთიერთობას შინაარსს აძლევს წიგნი, ინფორმაციის წყარო სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს უკვე აღარ არის. ბიბლიოთეკის თანამშრომლები დღესაც პატივს მიაგებენ და კეთილად იგონებენ ყოფილ

მკითხველებს. ახლაც თვალწინ გვიდგას პატარა შალვა ლომიძე, მე-3 კლასელი მოსწავლე, წიგნის მოყვარული, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, სიცოცხლით აღსავსე ბიჭუნა, რაოდენ გულსატკეპია, რომ იგი ჩვენს შორის აღარ არის, გვაკლია ძალიან იგი როგორც ბავშვი, ცოცხალი, ენერგიული, ყურადღებიანი. ავტოსაგზაო შემთხვევამ პატარა შალვა და მამამისი იმსხვერპლა. გვიძნელდება მათი წარსულში გახსენება; ისინი ჩვენი დიდი კოლექტივის ღირსეული წევრები იყვნენ, ბიბლიოთეკის ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ცოდნას და გამოცდილებას იძენდნენ. ისინი დააკლდნენ არა მარტო ბიბლიოთეკას, მთელს უბანს, მეზობლებს. ისინი ახლაც დიდი სიყვარულით უვლიან მათი



სახლის წინ დარგულ წითელ ვარდებს.

ბიბლიოთეკარებს კარგად ახსოვთ შაქრო სამადაშვილი – თავმდაბალი, მოკრძალებული, მარჯვენახელდაკარგული პოეტი, 12 წიგნის ავტორი. ვალმოხდილმა დატოვა ეს სოფელი,




ანობას შეეწირნენ. ჯენერის დარჩა ახალგაზრდა ოჯახი, მათ – შვილებმა და შვილიშვილებმა ცხოვრება გააგრძელეს და დღენიდავ კეთილად იგონებენ ომში გამირულად დაღუპულ ჯენერის – შემართულს, სამშობლოსა და ადამიანების მოსიყვარულეს, რომელსაც ნამდვილი პატრიოტის გული უცემდა. ბიბლიოთეკარებს დღესაც საამო ურუანტელი უვლის ჩვენი ბიბლიოთეკის მეგობრის ნუგზარ მარტიაშვილის მუსიკის ხმა, ესოდენ მგრძნობიარე და გულში ჩამწვდომი. იგი უდროოდ წავიდა და დატოვა მდუმარე ოთახი შავი როიალითა და მგლოვიარე ახლობლებით.



ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყოველთვის გულთბილად ვისხენებთ ჩვენგან წასულ მკითხველებს, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს ჩვენს ცხოვრებაში. მათი შთამომავლე-

რომელსაც ეტრფოდა მხატვრული სიტყვით.

როგორ არ უნდა გაიხსენოს ბიბლიოთეკამ ისეთი პიროვნება, როგორც იყო პოეტი იაკობ მელია – ახოვანი, მომხიბვლელი გარეგნობის, კარგი მამა და ოჯახის მოსიყვარულე, 13 წიგნის ავტორი, უდროოდ წასული, ჩვენი ბიბლი-



ოთეკის კეთილი თანამდგომი და მეგობარი. ბიბლიოთეკარები ასევე სინანულის გრძნობით იგონებენ ევგენი ქიქოძეს, ასაკოვან, მსცოვან „ბაბუს“, მისი დამრიგებლური საუბარი, რჩევები და კეთილგონიერება დღესაც ნათლად ახსოვთ ბიბლიოთეკარებს.

აფხაზეთის ომში გამირულად დაიღუპნენ ბიბლიოთეკის მეგობრები ჯენერი ჯიჯეიშვილი თავისი დისშვილით, ისინი სამშობლოს ერთი-



ბი – შვილები, შვილიშვილები დღესაც ასეთივე მოკრძალებითა და სიყვარულით შემოდიან ბიბლიოთეკაში, იმ სამყაროში, რომელსაც ასე ალამაზებდნენ მათი ახლობლები.



ფაქიზი სულით აღსავსე სტრიქონები

მარიამ ნიშნიანიძე 1972 წლიდან ეწევა საბიბლიოთეკო მოღვაწეობას. სწორედ ამ წელს დაინიშნა ის ქ. ბათუმის №8 საქალაქო ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე. ახალგაზრდა სპეციალისტი სულ მალე დაეუფლა პრაქტიკულ საქმიანობას და ხელმძღვანელების ყურადღება დაიმსახურა. 1974 წელს გადაყვანილ იქნა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად, შემდეგ სისტემის მთავარ რედაქტორად და ცენტრალური ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგედ, ხოლო 2008 წლიდან მუშაობდა საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო და ახალგაზრდული ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარად. ამჟამად ის მუშაობს ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში მთავარ ბიბლიოთეკარად.



მარიამ ნიშნიანიძე ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც მაღალი პროფესიონალი, ღირსეული მუშაკი და თანამშრომელი. მისი პირადი ღირსებების გამო დიდად აფასებენ მას კოლეგები. ქალბატონი მარიამი ყოველთვის გამოირჩეოდა პოეზიის სიყვარულითა და შემოქმედებითი გატაცებით. მონაწილეობს მასობრივ ღონისძიებებში, მეგობარ კოლეგებს ძლიერ უყვართ მისი ფაქიზი და უშუალოდ აღსავსე პოეტური ნაწარმოებების მოსმენა. მ. ნიშნიანიძეს მრავალი პოეტური ნაწარმოები აქვს შექმნილი, რომელთა გამოქვეყნებას მისი მოკრძალებული ხასიათის გამო ერიდება, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ მისი რამდენიმე ლექსი ჩვენი მკითხველების სამსჯავროზე გამოვიტანოთ.

მარიამ ნიშნიანიძე

ცვივა თოვლის ფანტელების
ვარსკვლავები ციდან.
ისე დასდევ, ვით პეპელას,
დაიჭირო გინდა.
ხელისგულზე ფიფქის ნაცვ-

ლად
ცვარი გრჩება წმინდა!
როგორ გაქრა სილამაზე –
ფიფქი ცრემლებს ღვრიდა.

თენდება...
ისევ თენდება...
ისევ ამოდის მზე!
ისევ შრიალებს ფოთლები,
ისევ გიგონებ შენ!
ისევ ყვავიან იანი,
ისევ ხალისობს დღე,
ისევ ჟღერტულებს ბელურა,
ისევ გნატრულობ შენ!

თენდება...
თეთრად თენდება,
ისევ ამოდის მზე,

ქვეყანა ნათლით მშვენდება,
ტკივილი ჩემი ბევრდება,
რადგან მაკლიხარ შენ!

„ზღაპარ იყო,
ზღაპარ იყო“,
თვალში ცრემლი დამშრალი-
ყო...
ცრემლი ცრემლზე აკინძუ-
ლი
სად იყო და
სად არ იყო...
ჩემს თვალეში დაშრეტილი,
სხვის თვალეში ჩამდგარი-
ყო.

„ზღაპარ იყო,
ზღაპარ იყო“,
მტერი ჩემი დამტკბარიყო...
ის შური და
ის სიავე, მისი
სადღაც გამქრალიყო,

ჩემი ფიქრიც აღარ იყო...
ფიქრი ფიქრზე მოფიქრალი,
ისიც სადღაც გამქრალიყო,
და ოცნებაც ნაირფერი ოც-
ნებებში ამხდარიყო...

„ზღაპარ იყო,
ზღაპარ იყო,
ოჰ, ნეტავი აღარ ვიყო!
ჩემი სული მომღერალი
დღეს, გუშინაც
ავად იყო.
უფალს ვუხმობ,
ვევედრები...
ჩემი სული
მასთან იყოს!

მე არ ვეძებ მარგალიტებს,
ფულიც არ მჭირდება ბევ-
რი...
ღმერთო! სიყვარული მომეც
–სხვა არ მინდა არაფერი.

ჩვენი მოსწავლე მკითხველების უამოქმედება

ჩვენს ბიბლიოთეკებში, რა ტიპისა და სახისაც არ უნდა იყოს ისინი, მრავლად არიან მკითხველებად გაერთიანებული მოსწავლე-ახალგაზრდები. მათ შორის ბევრი გამოირჩევა აქტიურობით – სისტემატურად სარგებლობენ წიგნებითა თუ ელექტრონული რესურსებით, ეხმარებიან ბიბლიოთეკას ტექნიკურ ოპერაციებში, მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარებაში, ღონისძიებების ორგანიზაციასა და წიგნის პოპულარიზაციაში. ზოგი მათგანი სისტემატურად ღებულობს მონაწილეობას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მოსწავლეთა დიდი ნაწილი გაერთიანებულია ბიბლიოთეკებთან შექმნილ ნორჩ შემოქმედთა კლუბში, სადაც ხდება მოსწავლეთა მხატვრული ნაწარმოებების მოსმენა – განხილვა. მათ შორის არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც გატაცებულნი არიან პოეზიით, პირველ ნაბიჯებს დგამენ ამ მიმართულებით. ბევრი მათგანი საკმაოდ ინტერესს აღძრავს და იმედს იძლევა, რომ მომავალში უეჭველად გახდება შემოქმედი, რომელიც თავის ცხოვრებას პოეზიას დაუკავშირებს.

ჩვენ ხელთ არის რამდენიმე ამგვარი შემოქმედი მოსწავლის ნაწარმოებები.. ამჟამად მხოლოდ ორ მათგანს ვაგაცნობთ და ამით გზას დაგულოცავთ დიდი შემოქმედებისაკენ.

ერთი მათგანია თბილისის 182-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე დავით გოგობია. ის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველია, წერს პატარ-პატარა მოთხრობებსა და ლექსებს. სასიამოვნოდ ყლერს მისი გულწრფელი სიტყვები. გვიხიბლავს მისი უშუალობა. ერთგვარ ნიმუშად შეიძლება დავასრულოთ მისი ლექსი „დედა“, რომელშიც მშობელს სიყვარულით მიმართავს:

„დედავ, ჩემო საფიცარო
და სიცოცხლის საწყისო.
ჩემი გული ახლაც შენზე
სიყვარულით აივსო“.

ახლა, როცა მოგვიბრძანდა
გაზაფხული ნანატრი,
მინდა ერთად მოვილოცო
დედის დღე და რვა მარტი“.

მოთხრობაში „ზღვა“, პატარა ავტორი ცდილობს ზღვის თვისებები ადამიანებს დაუკავშიროს: „ზღვა წყნარი და მშვიდია მანამ, სანამ სუფთაა და ანკარა. ამ დროს ნაპირზე კენჭების

დათვლა შეიძლება, მაგრამ თუ დაბინძურდა, აიძვრევა.“

ზღვა ხშირად მაგონებს ადამიანს, რომელიც ცდილობს, სინდისი სუფთა ჰქონდეს, აკეთოს კეთილი საქმე და ზრუნავს სხვებზე. ამ დროს იგი მშვიდი და აუღელვებელია. მაგრამ თუ ვინმე შეეცდება, ამ კეთილ საქმეში ხელი შეუშალოს, ჭუჭყი და ლაფი მოსცხოს, მაშინ ისიც ზღვასავით აღელდება და აბობოქრებული ტალღებით დაატყდება თავს მას, ებრძვის მანამ, სანამ არ დაამარცხებს...“

როგორც მისი პირველყოფილი შემოქმედებიდან ჩანს, პატარა დავითი მორწმუნე ბავშვია და, დაე, ღმერთი ჰყავდეს იმედად მას მომავალ ცხოვრებაში.

ჩვენს ხელთაა აგრეთვე თბილისის 72-ე სკოლის მოსწავლის შოთა ცხოვრებაშვილის ლექსების ხელნაწერი კრებული. მასში მისი ლექსების მხოლოდ ნაწილია.

შოთა უკვე ბავშვობის ასაკიდან გამოსული ყმანვილია. 15-16 წლის მოსწავლე უკვე ცხოვრებისეულ კანონზომიერებათა და ადამიანის მასთან ურთიერთობაზე ფიქრობს. მას ახასიათებენ როგორც წიგნების დიდ მოყვარულს, უყვარს ბიბლიოთეკა და იქაური ატმოსფერო. სწორედ აქ გამართულ ღონისძიებებზე აცნობს ის მეგობრებს თავის შემოქმედებას. ცხადია, და არცაა გასაკვირი, რომ ყმანვილს სიყვარულის დიდი განცდა აღელვებს და სატრფიალო სტრიქონებს თხზავს, რომლებიც უშუალობითა და სუფთა გრძნობებით, ძლიერი ემოციებით გამოირჩევა:

„ქარს ვავატან მე ჩემს სიტყვებს,
შენთან მოვა, მგონია,
სიტყვებს თეთრი თოლია
შენსკენ გამოჰყოლია.
მთვარეს გრძნობა მორეულს
დაუხრია თავი.
სიო ქრის და ნახ თმებზე
გეფერება ქარი“.
(„თეთრი თოლია“)

ანალოგიურია ლექსი „ნატვრა“, რომლის ნაწყვეტები ნათლად დავგანახებს ამას:

„... შენი თვალეები მემშვიდობება,
ვხედავ, შორს მიდის, ისევ მშორდება,
მე მაინც მოვალ, და მოვალ თოვლად,
რომ მე შენს ტუჩებს შევეხო მაინც.
მაგრამ შენ მზე ხარ, და ფიფქებს ადნობ,
მე ვერ შეგეხე და ამას ვდარდობ...“

ახალი სასწავლო წელი



